# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 230-231 (5832)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

უკანასკნელი არჩევანი

5 იანვარს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისთვის მიცემული ხმა არის ბენდუქიძის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მაქინაციების, ლომაიას (და აწ უკვე მაია მიმინოშვილის) მიერ საქართველოს განათლების სისტემის დანგრევის, ქართული კულტურის „გაჯეოსტარების“, ქართველი ახალგაზრდების „გაჯეობარების“, ქვეყანაში შიშის სინდრომისა და დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ მიცემული ხმა

2

# ადამიანებო, ნუ იქნებით %-ები!



## მზადა ვარ, სააკაშვილს ერთი ერთზე ვეთამაშო

20

## რუსი სამშვიდობოები 5 იანვრის შემდეგ კანონგარეშედ გამოცხადდებიან

3

## ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მაღალი დონის ნიმუში

4

5

# ხელმწიფე თუ პარლამენტი?

19



დღეს გიორგობაა

## წმიდა გიორგი ფარავდეს სრულიად საქართველოს

24

№ 230. პარასკევი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.

# სახელმწიფო

● არჩევანი ჩვენზეა. უკანასკნელი არჩევანი



◎ პრეზიდენტობის კანდიდატი

## გია მაისაშვილი: უფალი, სამშობლო შვილები

**წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია, თუმცა მოქმედი პრეზიდენტის გარდა, ფართო ასპარეზი, არც ერთ კანდიდატს არ ეძლევა.**

**გია მაისაშვილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადი ჯერ არ შეუტანია, თუმცა წინა საარჩევნო კამპანია მან, ოფიციალურად, გუშინ დაიწყო. იგი პროფესორებს და ექიმებს ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეხვდა.**

ექიმების აქტიურობა მაისაშვილის მისვლამდეც აშკარად იგრძნობოდა. მათი კითხვები, ძირითადად, ჯანდაცვის რეფორმებს, უმუშევრად დარჩენილ ექიმებს და შენობების გაყიდვა-გასხვისებას ეხებოდა.

გია მაისაშვილის ექიმებთან შეხვედრის მიზანი, მისივე თქმით, არა ხმების მოგროვება, არამედ მისი ხედვის და შეხედულებების გაცნობაა.

— მაქვს 24-პუნქტიანი მემორანდუმი, რომელსაც ჩემი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პარლამენტს წარვუდგენ, მოვალეობებს მას გადავცემ, რათა ხელისუფლების სამივე — აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემები დაბალანსდეს. და, რაღა თქმა უნდა, მეოთხე ხელისუფლება — სიტყვის თავისუფლება, რადგან არც პრეზიდენტს და არც ოპოზიციას არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი ტელევიზიები. თავისუფალი აზრი დაბალანსებულად უნდა ისმინებოდეს. დანარჩენი სამი შტოც ასევე დამოუკიდებელი, თანაბარი და ურთიერთდაბალანსებული უნდა იყოს. ეს არის ჯანსაღი სისტემა, — აცხადებს გია მაისაშვილი.

მან ასევე ისაუბრა დღევანდელი ხელისუფლების ხარვეზებზე და არასწორ მმართველობაზე.

— დღევანდელი კონსტიტუციის ფარგლებში, საქართველოში არც საპრეზიდენტო და არც საპარლამენტო მმართველობაა. ეს ე.წ. „ფრანგული ვარიანტის“ მოდელირებული ნაირსახეობაა. გვყავს პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება გახლეჩილი და ბურუსით მოცულია. გაუგებარია, ვის აქვს პასუხისგებლობა ან უფლებამოსილება ამა თუ იმ ნაბიჯზე... პრეზიდენტი ერთპიროვნულად ვერ შეცვლის კონსტიტუციას, თუმცა, ჩემი პირველივე ინიციატივა პარლამენტისთვის უფლებამოსილების დათმობა იქნება. პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა ერთპიროვნული მმართველობა აღარ იყოს. როცა ძალაუფლებას სხვას გადასცემ, ეს კი არ გასუსტებს, არამედ უფრო მეტ ავტორიტეტს და ეფექტიანობას გაძლევს. ჩვენ ეფექტური პარლამენტი გვჭირდება, სადაც ნორმალური დებატები წარიმართება და არა ისეთი „მკვდარი“ პარლამენტი, როგორიც დღეს გვაქვს, — განაცხადა გია მაისაშვილმა.

**მისი წინასაარჩევნო ლოზუნგები ასეთია: „ქართველები ქართველებისთვის“ და „უფალი, სამშობლო, ჩვენი შვილები“.**

**სოფიო გოგლიძე**

◎ თვალსაზრისი

## უკანასკნელი არჩევანი

### ადამიანებო, ნუ იქნებით %-ები



**დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ გამოდგება ფრაზა „ჩვენი მტრისთვის იყოს უკანასკნელიო“. ამ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ნამდვილად უნდა, რომ საქართველოში პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნები გაიმართოს. უკანასკნელი პრეზიდენტის არჩევნები.**

**წინასაარჩევნო კამპანია ნელ-ნელა ძალას იკრებს, მაგრამ ძირითადად მაინც მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის აქტიურ „დვიჟენიებს“ ვხედავთ ჯერჯერობით გადარჩენილი ტელეკომპანიების პირდაპირ ჩართვებში.**

საოცარ რაღაცეებს სჩადის მიხეილ სააკაშვილი. დავიწყოთ იმით, რომ შეცვალა პრემიერ-მინისტრი და ამ პოსტზე ისეთი კაცი მოიყვანა, რომელსაც არამც თუ მმართველ პარტიასთან ჰქონდა რაიმე შეხება (ვგულისხმობ მის „პარტმუშაკობას“ძ, არამედ ვარდები მხოლოდ ვინმეს დაბადების დღეზე თუ ექნება ნაყიდი.

**ამ ცვლილებით სააკაშვილმა „რამდენიმე კურდღელი დაიჭირა“.**

**1. „ჩააჩოჩა“ „თავისუფლების ინსტიტუტი“, რითაც პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობის“ იმ „შემსრულებელი“ წევრების გული მოიგო, რომლებიც კარგა ხანია „გმინავდნენ“ გიგა ბოკერიას „უღლის“ ქვეშ, და რომლებიც სასიცოცხლოდ საჭირონი არიან ნებისმიერი არჩევნების დროს.**

**2. „კოჭი გაუგორა“ ბიზნეს-ელიტის გარკვეულ ნაწილს და საარჩევნო ფონდის შესავსებად ძალიან საჭირო სვლა გააკეთა (არა მგონია, რომ დეკემბრიდან გაზრდილი პენსიები, პედაგოგების მომატებული ხელფასები, შეშის, გაზისა და ელექტროენერგიების ე. წ. ვაუჩერები ბენდუქიძის „მუხლჩაუხრელი შრომით აღორძინებული“ ეკონომიკის შედეგი იყოსძ.**

**3. ამ სვლის კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ერთის შეხედვით „ყარაულის თოფის გავარდნასავით“ გამოვიდა, მაგრამ კახა ლომაიას ისეთ „არა გამოსაჩენ“ თანამდებობაზე გადაყვანამ, როგორიც უშიშროების საბჭოს მდივნობაა, ნათლად დაგვანახა, რომ სააკაშვილმა გარკვეულწილად მოსახლეობასაც ასიამოვნა (არც „თავისუფლების ინსტიტუტს“ დასწყვიტა გული).**

სააკაშვილი რომ ძლიერი „პიარშჩიკია“ კიდევ ერთხელ დასტურდება იმ ფაქტით, რომ ტელეეკრანიდან „გაქრნენ“ უმრავლესობის ისეთი ცნობილი სახეები როგორებიც გიგა ბოკერია, მაია ნადირაძე, ნინო კალანდაძე, რატი სამყურაშვილი და ვახტანგ ბალავაძე არიან. მათ ნაცვლად კომენტარებს პალიკო კუბლაშვილი აკეთებს, რომელიც უფრო მისაღებია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი „სახეები“, რომლებიც გაღიზიანების მეტს არაფერს არ იწვევდნენ მაყურებელში.

სააკაშვილის შემდგომი ნაბიჯები საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან აქტიური შეხვედრები გახდა.

პირველად მევენახეებს შეხვდა. ძალიან საყურადღებო იყო ერთ-ერთი მევენახის გამოსვლა. მან პირველ რიგში მადლობა გადაუხადა პრეზიდენტსა და მთავრობას გამოჩენილი მზრუნველობისთვის, ხოლო შემდეგ დაამატა, რომ ყველაფერი გაძვირდა და ერთი კილოგრამი ყურძნის მოყვანა 60 თეთრი ჯდება, ხოლო ქარხნები დაახლოებით 20 თეთრად იბარებენ. აქედან გამომდინარე, აღებული თანხა არამც თუ ცხოვრებისთვის, ვენახის მოვლისთვისაც არ არის საკმარისი (ძალიან საინტერესოა, რისთვის გადაუხადა მადლობა ამ ნამდვილად მშრომელმა ადამიანმა პრეზიდენტსა და მის მთავრობასძ.

შემდეგი შეხვედრა „ჩარეცხილების“ სამეცნიერო ნაწილთან შედგა. საოცარი კონტრასტი იყო ხელისუფლების „წითელ პროფესურასთან“ (ეს მათი სიტყვებია) რამდენიმე თვის წინანდელ დამოკიდებულებასა და 1600 ლარამდე გაზრდილ ხელფასებს შორის.

სააკაშვილის შემდგომი ნაბიჯი ნამდვილად ჯონდი ბაღათურიას გულის მოსაგებად იყო გადადგმული. სალარო აპარატების დადგმის 2009 წლის პირველ ივნისამდე გადატანამ ნამდვილად გაახარა „ქართული დასის“ ლიდერი. ის მაშინვე ბაზრობებზე გაეშურა და საოცარი „უმადურობა“ გამოიჩინა სააკაშვილის მიმართ. მან მოვაჭრეებს მაინც ლევან გაჩეჩილაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდა (ისე, რაღა დაგიმალოთ და მეც მგონია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის გამარჯვების შემთხვევაში სალარო აპარატები 6 იანვარს თუ არა, 1 თებერვალს მაინც გამოჩნდება დახლებზეძ.

**კიდევ 3000 პატიმარი გაანთავისუფლა, კიდევ კობა სუბელიანი დანიშნა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად, კიდევ 30000 ევროდღირებული ქიმიური ლაბორატორია უყიდა ეროვნულ მუზეუმს, კიდევ კიმონოები და ტატამები აჩუქა მოჭიდავეებს, კიდევ თავი დაანება მუქარას და ღიმილიანი სახით დაგვენახა.**

დალოცვილო, მაინცდამაინც ცრემლსადენი გაზი უნდა გაუშვა რუსთაველზე და ხალხი უნდა დაარბიო, რომ შადრევნების გარდა რაღაც გააკეთო მოსახლეობისთვის?

რაც შეეხება არაპირდაპირ პიარ-კამპანიას:

სახელისუფლებო ტელევიზიებში გამოჩნდა კაბუს რევოლუციამდელ სიმღერაზე შექმნილი ფოტო-კლიპი, რომელიც ნამდვილად „ახალი სიტყვაა“ ხელოვნების ამ სფეროში, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთიორი ფოტოს გადანაცვლებით დღევანდელი მდგომარეობის ზუსტ ამსახველად გადაიქცევა. ისე კი მხოლოდ ორაზროვნებასა და დაბნეულობას იწვევს მაყურებელში. ასევე გამოჩნდა დოკუმენტური ფილმი ტელეკომპანია „იმედში“ არსებული „შეიარაღებული ფორმირების“ შესახებ. მე ვერაფერს ვიტყვი იმ ოპერატიულ მასალაზე, რომელიც ნაჩვენებია ამ ფილმში, მაგრამ ძალიან საინტერესოა საბრძოლო მასალების დამალვის ახალი მეთოდი. მართლაც ძალიან მამაცი ადამიანი უნდა იყო, რომ წამოწვე დივანზე, რომლის ქვეშაც საკმაოდ სოლიდური სიძლიერის ნაღმებია დალაგებული.

რუსთაველზე მოსული 150 000 და ვერმოსული 2 000 000 ადამიანის მოთხოვნა ოპოზიციის ერთიანობა იყო. ამიტომ „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ნებისმიერი გამოვლენა ხალხში ოპოზიციის დაქსაქსულობის, მათი მერკანტელიზმის გამოვლენად აღიქმება. აქედან გამომდინარე, რეაქციაც ადეკვატური იქნება. დაიკარგება ხალხის ერთიანობა, ის ერთიანობა, რომელიც ასე გაჭირვებით იქნა მიღწეული.

თუ ვინმეს პოლიტიკოსობაზე, თან დიდ პოლიტიკოსობაზე აქვს პრეტენზია და ეს არ ესმის, მაშინ რბილად რომ ვთქვა, ცდება (ძალიან რბილად ვამბობძ, ხოლო, თუ ესმის და მაინც აკეთებს, მაშინ ორმაგად ცდება (რა ვქნა, ისე რომ დავწერო, როგორც ვფიქრობ, ძალიან უზრდელობა იქნება და არ დამიბეჭდავენძ.

როგორც „ბოროტი ხმები“ ამბობენ, ნათელაშვილს საკმაოდ სერიოზულად დაემუქრნენ, რათა მას საკუთარი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად დაეყენებინა. ამ ხმებში ნამდვილად არის სიმართლის საკმაოდ დიდი წილი, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ ნათელაშვილს „თავისი“ საკუთარი 10-12 პროცენტი ყოველთვის ჰყავდა. ამ რაოდენობის ხმების „წართმევა“ ერთიანი ეროვნული საბჭოს კანდიდატისთვის საკმაოდ წაადგება სააკაშვილს, რადგანაც სახელისუფლებო რესურსი უხეში დათვლით 15 პროცენტამდეა. ამას პლუს გაყალბებული 10 პროცენტი, ეს კი 5 იანვრის არჩევნებზე მოსული 60 პროცენტი ამომრჩევლის ფონზე გაერთიანებული ოპოზიციისთვის წართმეული 35-37 პროცენტია. ამ რაოდენობას დამატებული დანარჩენი კანდიდატების 3 და გაუქმებული ბიულეტენების 5 პროცენტი ხალხის გამარჯვებას ეჭვქვეშ აყენებს. არჩევნებზე არმოსული 40 პროცენტიდან 10 პროცენტი „პახმელიაზე“ იქნება, 10 პროცენტი საერთოდ არ ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას, 20 პროცენტი კი ის გულგატეხილი ხალხია, რომელიც ერთობას მოითხოვდა და ვერ მიიღო. ამიტომ ოპოზიციის მხრიდან კანდიდატების სიმრავლე ამ 205 პროცენტს ზრდის და კარგავს. ამის ნათელი მაგალითი იყო გასული წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როდესაც ოპოზიციის გახლეჩამ არჩევნებზე მხოლოდ ხელისუფლების მომხრეთა მისვლა გამოიწვია.

**აქედან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველას ეყოფა პოლიტიკური გამჭრიახობა და ნება, გადადგას ღირსეული ნაბიჯი საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის გასაუქმებლად.**

**წერილის ბოლოს კი მინდა მივმართო „სახელისუფლებო რესურსის“ 15 პროცენტის იმ ღირსეულ წარმომადგენლებს, რომელთაც ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ: — ნუ იქნებით %-ები, ნუ იქნებით, რადგან თქვენ ყველაზე კარგად იცით, რომ 5 იანვარს პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისთვის მიცემული ხმა არის ბენდუქიძის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მაქინაციების, ლომაიას (და აწ უკვე მაია მიმინოშვილისძ მიერ საქართველოს განათლების სისტემის დანგრევის, ქართული კულტურის „გაჯეოსტარების“, ქართველი ახალგაზრდების „გაჯეობარების“, ქვეყანაში შიშის სინდრომისა და დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ მიცემული ხმა.**

**არჩევანი ჩვენზეა. უკანასკნელი არჩევანი.**

**გია გაბრიჭიძე**

# ადუღებული დორო

● ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვიმუშავებთ ეროვნულ ბანკთან, რომ ამ მონეტარული ბერკეტების გამოყენებით ინფლაციური ფონი გავაკონტროლოთ და 2008 წელს მისი გაძლიერება აღარ დავუშვათ, – განაცხადა გურგენიძემ



◉ დიალოგი

## ლევან გაჩეჩილაძე: რუს მშვიდობის-მყოფელებს აქ არაფერი ესაქმებათ

**საქართველოს პრეზიდენტობის გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ რუსულ მედიასთან საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ეს უძველესი ქართული ტერიტორიებია.**

– რუსეთის როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საკითხში დიდია. ამასთან ერთად, რუსეთი კონფლიქტების მოგვარების საკითხში როგორც მხარე ისე იქცევა და არა როგორც შუამავალი. ამიტომაც რუსი მშვიდობისმყოფელები აქ არ უნდა იმყოფებოდნენ, – განაცხადა გაჩეჩილაძემ და დასძინა, რომ კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანი გზით უნდა წარიმართოს და დასრულდეს.

– ამისათვის კი იქ დევნილები უნდა დაბრუნდნენ და რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

რუსი ჟურნალისტის კითხვაზე თუ რა ენაზე უნდა დაამყარონ ურთიერთობა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს ახალგაზრდობამ იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზი და ოსი ახალგაზრდობა ქართულ ენას არ ფლობს, ლევან გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ **თუ არსებობს მეგობრობა, ურთიერთობა ყველა ენაზე შეიძლება.**

◉ სოციუმი

## ახალი პრემიერი ინფლაციას ებრძვის!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 2008 წელს მონეტარული ბერკეტების გამოყენებით ინფლაციური ფონის გაკონტროლებას გეგმავს და პირობას იძლევა, რომ მის შემდგომ გაძლიერებას აღარ დაუშვებს.**

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ლადო გურგენიძემ გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, შეეცდება, 2008 წელს ბიუჯეტის დეფიციტი მინიმალური და ზომიერ ჩარჩოებში იყოს. გურგენიძის განცხადებით, მეტის გაკეთება ახალი სოციალური პოლიტიკის გათვალისწინებით შეუძლებელია. ეს გადასახადების ზრდის გარეშე, ინფრასტრუქტურული და სხვა სოციალური ხარჯების ოპტიმიზაციის მეშვეობით მოხდება.

როგორც პრემიერობის კანდიდატმა აღნიშნა, ინფლაცია რომ მაღალია, კარგად ესმის, კარგად ესმის ისიც, რომ ეს პროცესი მოსახლეობის დაუცველ ფენებზე უარყოფითად აისახება.

გურგენიძის განცხადებით, ინფლაციაზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ფისკალური ბერკეტების გამოყენების საშუალება 2008 წელს არ იქნება. – თუმცა, გვრჩება მონეტარული ბერკეტები, შესაბამისად, ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვიმუშავებთ ეროვნულ ბანკთან, რომ ამ მონეტარული ბერკეტების გამოყენებით ინფლაციური ფონი გავაკონტროლოთ და 2008 წელს მისი გაძლიერება აღარ დავუშვათ, – განაცხადა გურგენიძემ.

**ლადო გურგენიძეს პარლამენტმა ნდობა გუშინ გამოუცხადა.**

ინტერპრესნიუსი

◉ პოლიტსიახლე

## პოლონელები ქართველთა შერიგებას ცდილობენ

**გუშინ 22 ნოემბერს, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი სამუშაო ვიზიტით საქართველოს ეწვია.**

კაჩინსკი მონაწილეობას მიიღებს ვარდების რევოლუციის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

პოლონეთის პრეზიდენტი მოლაპარაკებებს გამართავს მიხეილ სააკაშვილთან და ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

პოლონეთი მზადაა მხარეებს შორის პოლიტიკური კრიზისის დაძლევისა და ნდობის აღდგენის მიზნით თბილისში მოავლინოს მომლაპარაკებელთა ჯგუფი, რომელიც ძალისხმევას გასწევს მიხეილ სააკაშვილსა და ოპოზიციას შორის დიალოგის აღდგენაში, – აცხადებს პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის წარმომადგენელი მარიუშ ხანდზიკი.

## კობა სუბელიანი დევნილთა პრობლემას მოაგვარებს

**სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად კობა სუბელიანის დანიშვნას მხარს უჭერს.**

– ყველა, ვინც სუბელიანის საქმიანობას თვალყურს ადევნებდა, დაინახავდა, რომ იგი ის ადამიანია, რომელიც დევნილთა პრობლემის მოგვარებას შეძლებს, – აცხადებს ბაქრაძე.

ბაქრაძისთვის ასევე მისაღებია განათლების მინისტრად მაია მიმინოშვილის დასახელება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატება მნიშვნელოვნად უკავშირდება მაია მიმინოშვილს, – მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა განახლებულ მინისტრთა კაბინეტში პრემიერ-მინისტრის გარდა, ორი ახალი კანდიდატურა წარადგინა, რომლებიც პარლამენტში გუშინ დაამტკიცეს.

◉ SIC!

## საინტერესო ისტორიული დოკუმენტი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე: გუშინ განთავსდა ელექტრონული ვერსია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული უნიკალური ისტორიული დოკუმენტისა, რომელიც ასახავს ვანთაში წმ. დავითის სადავო მამულების საზღვრების დადგენის თაობაზე სასამართლოს განაჩენს.**

1792 წლით დათარიღებული დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, კათოლიკოსი დომენტი სასამართლოში ითხოვს ვანთაში წმ. დავითის მამულების საზღვრების დადგენას.

– ჩვენ გავსინჯეთ ვანთას წმინდის დავითის მამულები, ქოქიაური, ჭონიაური, თუთაშხიშვილის მამულები და უზოძეთ და დაუმტკიცეთ თვისის შესავლითა, გასავლითა, მთითა, ბარითა... ყოვლის კაცის უცილობლად... ეს ასე დამტკიცდეს და არ მოიშალოს... ამრიგად ვერც ვანთის მოურავმა და სხვარიგმა მოსაქმემ ხელი ვერ დადვას წმინდის დავითის კერძზედ", - გადაწყვიტა სასამართლომ.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 230. ხუთშაბათი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ პოზიცია

## შოთა მალაშხია: სამშვიდობოები 5 იანვრის შემდეგ კანონგარეშედ გამოცხადდებიან

***ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე შოთა მალაშხია სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა შეუქცევადი პროცესია და ვერავინ შეუშლის ხელს.***

მალაშხიას თქმით, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით გაყვანის რეჟიმში არიან და ისინი 5 იანვრის შემდეგ კანონგარეშედ გამოცხადდებიან.

შოთა მალაშხია სააგენტოსთან საუბრისას იმ ბერკეტებზეც საუბრობს, რომელთა მეშვეობითაც საქართველო გადალახავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც რუსული სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გაყვანას შეიძლება მოჰყვეს რუსეთიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთის მხრიდან.





**– საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტი დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილების საფუძველზე დგას. აქამდე ყოველ ექვს თვეში ერთხელ სწორედ დსთ-ის ქვეყანათა მეთაურები უხანგრძლივებდნენ მათ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის მანდატს. თუმცა საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის პრეზიდენტის 2001 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატის ყოველ ექვს თვეში გახანგრძლივების მუხლი ამოიღეს,** – აცხადებს მალაშხია და დასძენს, რომ ამ მუხლის ამოღების შემდეგაც ხელშეკრულებაში დარჩა მუხლი იმის შესახებ, რომ რუსული სამშვიდობო კონტინგენტი ვალდებულია, საქართველოს ტერიტორია კონფლიქტში მონაწილე ერთი მხარის მოთხოვნის შემდეგ დატოვოს.

**– აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა მიერ მიღებულ 8 დოკუმენტში. ასე რომ, საქართველოს მიერ ამ მოთხოვნის დაყენების შემდეგ, რუსეთი უბრალოდ ვალდებული იქნება თავისი სამშვიდობო კონტინგენტი საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს,** – აცხადებს მალაშხია.

ამას გარდა, მისივე თქმით, საქართველოს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, გახმოვანებული იქნება საერთაშორისო დონეზე.

**– ეს კი იმას ნიშნავს, რომ როდესაც საქართველო ყველა ამ პროცედურას გაივლის და რუსულ სამშვიდობო კონტინგენტს არანეიტრალურად ცნობს, თავად გაერო თავისივე წესდების მიხედვით ვალდებული იქნება რუსული სამშვიდობო კონტინგენტის ჩამნაცვლებელზე იზრუნოს,** – აცხადებს მალაშხია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაეროს წესდების მიხედვით დაუშვებელია კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული რომელიმე მხარე მიკერძოებულობაში იყოს დადანაშაულებული.

**– მეტიც: გაეროს წესდების მიხედვითვე, აღნიშნული საკითხის კენჭისყრის დროს, კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილე, არანეიტრალურად აღიარებულ სახელმწიფოს საკითხზე ვეტოს დადების უფლებაც ერთმევა,** – აცხადებს ტერიტორიული მთლიანობის დროებითი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას.

მისივე თქმით, ყოველივე ზემოთქმულის გარდა, საქართველოს წარმომადგენელი გაეროში ირაკლი ალასანია ამ ორგანიზაციაში აფხაზეთში განხორციელებული ქართველთა ეთნოწმენდის საკითხის განხილვას მოითხოვს.

**– ჩემი ინფორმაციით, ალასანიას წარდგენილმა დოკუმენტმა რამდენიმე კომიტეტში მოსმენა უკვე წარმატებით გაიარა. იმ შემთხვევაში, თუ გაერომ აღიარა აფხაზეთში რუსეთის დახმარებით განხორციელებული ქართველთა ეთნოწმენდა, რუსული სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანას წინ ვერაფერი დაუდგება,** – ამბობს მალაშხია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებულია, რომ რუსული სამშვიდობო კონტინგენტი საქართველოს ტერიტორიას მალე დატოვებს, როგორ შეუძლებლადაც არ უნდა ეჩვენებოდეს ეს ვინმეს.

# რეფორმა

● მე აქვე ვაკეთებდი დასკვნას, რომელსაც ამჟამადაც გავიმეორებ, რომ ასეთი განცხადებები არის სრული უმეცრება და გაუნათლებლობის შედეგი



◎ კითხული კაცის აზრი

# ქართული მეცნიერების დონის

*ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რა უარყოფითად აფასებენ რეალურად მოაზროვნე ადამიანები იმ ე.წ. რეფორმას, რომელიც მიუხედავად მრავალი პროტესტისა, ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების დარგში. მეც არაერთხელ გამომითქვამს ჩემი მკვეთრად უარყოფითი აზრი ამ „რეფორმის“ შესახებ და ამჟამადაც გარკვეული მიზეზის გამო (რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ), კვლავაც მინდა ამ თემას მოკლედ შევეხო. ერთ-ერთ ჩემ სტატიაში მე მოვიყვანე ამ დარგის უკვე ყოფილი მინისტრის შეფასება იმ ადამიანებისა, რომლებიც მის მიერ თავსმოხვეულ „რეფორმათა“ წინააღმდეგია და რომელთა პოზიცია არ ემთხვევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემოთავაზებულ გარდაქმნათა გეგმებს. ეს პოზიცია თურმე არის საბჭოური სისტემის გადმონაშთი, საბჭოური აზროვნების „ჩამონაგლეჯი“. იქვე მე მოვუწოდებდი ე. წ. მინისტრს გვაჩვენოს და დაგვისაბუთოს, რა იყო საბჭოური ივ. ჯავახიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, დიმ. უზნაძის, ივ. ბერიტაშვილის, გ. ჩუბინაშვილის, სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ სამეცნიერო სკოლებში ან ამ სკოლების შემდგომი თაობების ნაღვაწში. მე აქვე ვაკეთებდი დასკვნას, რომელსაც ამჟამადაც გავიმეორებ, რომ ასეთი განცხადებები არის სრული უმეცრება და გაუნათლებლობის შედეგი. ჩემს ამ დასკვნას შესანიშნავად ადასტურებს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის არაერთი გამოსვლა პრესაში.*

თ. გამყრელიძე თვალნათლივ წარმოაჩენს სურათს იმისა, როგორ არის დაფასებული და შეფასებული უცხოეთის უმაღლესი რანგის სწავლულთა მიერ ქართული მეცნიერება, როგორ არის აღიარებული ჩვენი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები.

მე თვით ვყოფილვარ მოწმე იმისა, როგორ ფასდებოდა ჩვენი მეცნიერება, ვთქვათ ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, ჩეხეთში და ა.შ. რა მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენი მეცნიერების მონაწილეობა სხვა და სხვა საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში, ან როგორ იმართებოდა ასეთი კონგრესები და კონფერენციები აქ, ჩვენთან საქართველოში. მე, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, მოწმე ვიყავი ყოველივე ამისა არქეოლოგთა, ისტორიკოსთა, ბიზანტინოლოგთა შეკრებებზე და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ გამოჩენილ მეცნიერთა და მათ მიერ შექმნილ სკოლათა შორის მე დავასახელე სიმონ ყაუხჩიშვილი და მისი სკოლა, კერძოდ, ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლა. და აი, ამჟამად მე კალამი ხელში ამაღებინა ამ სკოლის ერთ-ერთმა ღირსშესანიშნავმა მიღწევამ.

ჩემს წინ დევს თითქმის ექვსასგვერდიანი, კაპიტალური, მაღალ დონეზე გაფორმებული წიგნი, რომლის სათაურია „ბიზანტიური ცივილიზაცია“. იგი გამოცემულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროგრამა „ლოგოსის“ მიერ 2006 წელს. წიგნის ავტორია პროფესორი ვალერი ასათიანი.

ბიზანტიურმა სამყარომ უდიდესი როლი დაიმკვიდრა ცივილიზაციათა ისტორიაში საერთოდ და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიაშიც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ დაფუძნებულმა ბიზანტინოლოგიამ ისეთ წარმატებებს მიაღწია უკანასკნელ ათწლეულებში, რომ ამ მიღწევათა უბრალო, მშრალი ჩამონათვალიც ძალზე დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს. და აი, ჩვენს წინ დევს გამოკვლევა, რომელმაც არსებითად შესძლო, როგორც ბიზანტიური ცივილიზაციის სათანადო წარმოჩენა, ისე ქართული ბიზანტოლოგიის მონაპოვართა ასახვა.

სანამ ვ. ასათიანის წიგნზე გავაგრძელებთ საუბარს, საჭიროდ ვთვლი კიდევ რამდენიმე პრობლემაზე შევჩერდე. უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, რომ ბიზანტინისტიკა ორგანულად უკავშირდება კლასიკურ ფილოლოგიას (ე.ი. ბერძნულ-ელინისტურ და რომაულ კულტურათა შესწავლას). ამდენად, ამ დარგების საფუძვლის ჩამყრელი არის გრიგოლ წერეთელი, გამოჩენილი კლასიკური ფილოლოგი და პაპიროლოგი. გრ. წერეთლის უდიდესი ღვაწლის შესწავლა ცალკე თემაა, ხოლო, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ს. ყაუხჩიშვილზე, უნდა ისიც აღინიშნოს, რომ იგი არის არა მარტო ბიზანტინოლოგიის, არამედ კლასიკური ფილოლოგიის დამფუძნებელიც საქართველოში. ამდენად, მისი სკოლა არის არა მარტო ქართული ბიზანტოლოგიის, არამედ შესაბამისად კლასიკური ფილოლოგიის მკვლევართა სკოლაც. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ს. ყაუხჩიშვილის მემკვიდრეთა მიერ დაფუძნებულ იქნა ზემოთ ნახსენები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რომლის უმაღლესი რანგის კვლევა-ძიება, დიდებული სამეცნიერო პროდუქცია, მსოფლიოს ნებისმიერი კვლევითი ინსტიტუტის ან უმაღლესი სასწავლებლის მისაბაძი და აღსაღიარებელი მონაპოვარია. მე ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ აი ეს ინსტიტუტი (ისევე, როგორც ბიზანტინოლოგიის განყოფილება გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში) არის არა საბჭოური აზროვნების „ჩამონამტვრევი“, არამედ თანამედროვე, უმაღლესი დონის სამეცნიერო დაწესებულება, აღმოცენებული და განვითარებული ქართულ ნიადაგზე, დიახ, სწორედ ქართულზე.



მეორე, რასაც მინდა ასევე ხაზი გავუსვა, არის ის უმაღლესი დონე, რომელიც დააფუძნა ქართულ ბიზანტინოლოგიაში სიმ. ყაუხჩიშვილმა. შევჩერდები მხოლოდ ერთ ფაქტზე: მის მიერ (სხვათა შორის საბჭოურ პერიოდში) გამოცემულ რვატომეულზე, ე.წ. „გეორგიკებისა“, ანუ „ბიზანტიელი მწერლების ცნობებისა საქართველოს შესახებ“. ამ გამოცემაში შესულია ყველა — მე ხაზს ვუსვამ, ყველა ბერძნულ და ლათინურენოვანი (IV-XV სს) ავტორების ცნობები, აგრეთვე დოკუმენტური მონაცემები საქართველოს შესახებ დედნის ენაზე, ქართული თარგმანითა და შესაბამისი კომენტარებით. ამგვარი გამოცემა, ასეთი კრებული მე არსად შემხვედრია. არც ერთ ბიზანტინოლოგიურ ცენტრში. ესეც საბჭოური სისტემის გადმონაშთია?!

და მესამე, სიმ. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის ბიზანტინიზმის, როგორც თავისებური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფენომენის მეცნიერული განმარტება. მან განსაზღვრა ის საწყისები, რომელსაც ეფუძნება ბიზანტინიზმი: ელინურობა, რომაულობა, ქრისტიანობა და აღმოსავლურობა. ამრიგად, თუ მანამდე ბიზანტია ითვლებოდა რომის იმპერიის უშუალო გაგრძელებად, ბიზანტიური ცივილიზაცია ანტიკურობის პირდაპირ, ოღონდ ქრისტიანული რელიგიით სახენაცვალ მემკვიდრედ, სიმ. ყაუხჩიშვილმა შემოიტანა ახალი ცნება — „ბიზანტინიზმი“, რომელშიც დიდი როლი ენიჭებოდა აღმოსავლეთს, ბიზანტინიზმის ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც ამ ისტორიული ფენომენის ჩამოყალიბების პროცესში იმთავითვე მოქმედებდა. ეს დებულება უაღრესად მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოს ცივილიზაციის გაგებისთვისაც. აღნიშნული განსაზღვრა დღეს საყოველთაოდ მიღებულია ბიზანტინოლოგიაში, თუმცა ხშირად ავიწყდებათ იმის კონსტატაცია, რომ ის სწორედ სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ იყო პირველად წამოყენებული.

ახლა დავუბრუნდეთ ვ. ასათიანის წიგნს. ავტორმა ამ წიგნს მყარი საფუძველი შეუქმნა ადრე გამოქვეყნებული ნაშრომებით, კერძოდ ორი წიგნით: 1. „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“ (1987 წელი) და 2. „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ (1996 წელი). უკვე ამ წიგნებში გამოჩნდა ვ. ასათიანის სათანადო მომზადება ბიზანტინიზმისა და ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობათა კვლევაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ

◎ მოგვისმინეთ!

# განცხადება

**ტოტალური ძალადობა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ თავს მოახვია ქართველ ხალხს, ახალ ფაზაში გადაიყვანა პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად და თვითნებურად დაწყებულმა წინასაარჩევნო კამპანიამ, რომელიც უკვე მიმდინარეობს საკონსტიტუციო მართლწესრიგისა და მორალური ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევებით. საჭირო ხდება ხალხის ნების გამოხატვა კანონით დაშვებული ყველა ფორმით, მათ შორის, საპროტესტო აქციებით.**

„ქართული აკადემია“ მონაწილეობას მიიღებს ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ მშვიდობიან აქციაში, მათ შორის, 25 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო შეკრება-მანიფესტაციაში. ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა დაინახოს, რომ 7 ნოემბერს მშვიდობიანი მიტინგისა და მოშიმშილეთა ბარბაროსული მეთოდებით დარბევამ ხალხი კი არ დააშინა, არამედ უფრო შეამჭიდროვა და გააერთიანა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ კიდევ უფრო უნდა გააააქტიუროს მოთხოვნები პოლიტიკური პატიმრების, მათ შორის, ირაკლი ბათიაშვილის, გათავისუფლების მიზნით. შეუძლებელია ელემენტარულ დემოკრატიულ გარემოზე საუბარი მაშინ, როცა წინასწარგამიზნულად დამონტაჟებული სატელეფონო საუბრის გამო ადამიანი ცხადდება ერის მოღალატედ და სისხლის სამართლის დამნაშავედ. მით უმეტეს, თუ ამ საუბრის დროს ერთი ადამიანი მეორეს იმისაკენ მოუწოდებს, რომ არ დაუშვას სისხლიანი დაპირისპირება თანამემამულეთა შორის.

რაც შეეხება მედია-ჰოლდინგ „იმედს“, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ მისი ამუშავების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია წინასაარჩევნო პროცესის წარმართვა მეტნაკლებად ნორმალურ ვითარებაში. ხოლო ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ, დროზე მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომლის მიღება მას მაინც მოუწევს საერთაშორისო თანამეგობრობისა და ქართველი ხალხის სამართლებრივი და სამართლიანი ზემოქმედებით. **წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი.**

**„ქართული აკადემია“**

◎ სიკეთე

## ვაუჩერი — საპატრიარქოს

**„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ქოიავამ გუშინ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს 135 000 კბ.მ ბუნებრივი აირის ვაუჩერი გადასცა.**

**ამ ოდენობაში სიონისა და სამების ტაძრების ასევე, სასულიერო სემინარიისა და საპატრიარქოს მიერ ერთი წლის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირი შედის.**

**გიორგი ქოიავამ პატრიარქს აღსაყდრების 30 წლისთავიც მიულოცა.**

**— „ჩემთვის დიდი პატივია, რომ ეს საჩუქარი დაგვიანებით, მაგრამ მაინც, გადმოგცეთ და აღსაყდრების 30 წლისთავი მოგილოცოთ“, — განაცხადა გიორგი ქოიავამ.**

**პატრიარქმა მადლობა გადაუხადა კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გენერალურ დირექტორს ვაუჩერისთვის და აღნიშნა, რომ მათი დახმარება დროულია, რაც დაეხმარება როგორც ქვეყანას, ასევე ეკლესიას.**

**თავის მხრივ, პატრიარქმა „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლებს საჩუქრად წიგნი „პატრიარქი“ გადასცა. ასევე, ქართული ხალხური მუსიკისა და საკუთარი ნაწარმოებების კომპაქტდისკები, სანთლები და ჯვრები.**

**საქართველოს პატრიარქს მიესალმა და პატივისცემა დაუდასტურა კომპანიის მმართველმა დირექტორმა ალექსანდრე სკრიფკამ.**

**პატრიარქმა კომპანიის წარმომადგენლებს საპატრიარქოს ბაღი დაათვალიერებინა. როგორც კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ახლო მომავალში 6 500 კბ.მ ბუნებრივი აირის ვაუჩერი თბილისის ჯუმა-მეჩეთსაც გადაეცემა.**

ინტერპრესნიუსი

**ეს კაპიტალური ნაშრომი უდავოდ ქართული ბიზანტინოლოგიისა და საერთოდ, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მაღალი დონის ნიმუშია და უტყუარი დოკუმენტია იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი მეცნიერება, დაფუძნებული ეროვნულ ნიადაგზე, საერთაშორისო კვლევითი აზროვნების ღირსეული შემადგენელია**



◉ კითხული კაცის აზრი

# ჰუმანიტარული მაღალი ნიმუში

ვთვლი აღვნიშნო, რომ ავტორს სრულად, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვა – ზედმიწევნით სრულად აქვს გამოყენებული საკვლევი და გასაშუქებელი თემის ირგვლივ არსებული მეცნიერული ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე. კერძოდ, უახლესი გამოკვლევები რუსულ ენაზე (1998-2000 წლები) და ნიუიორკში, ჩიკაგოში, კემბრიჯში, ოქსფორდში 1994-2001 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები. მაშასადამე, განსახილველი წიგნი ეყრდნობა როგორც ძველ, ტრადიციულ სამეცნიერო პუბლიკაციებს, ისე უახლეს მსოფლიო ლიტერატურას, მაშასადამე ითვალისწინებს ანტიკურობის და ბიზანტინიზმის შესწავლის თანამედროვე დონეს.

ერთ წერილში ძალზე ძნელია ვ. ასათიანის წიგნის სრულყოფილი განხილვა და შეფასება. ეს გამოკვლევა სრულად, ამასთან ძალიან მისაწვდომი ფორმით იხილავს ბიზანტიური ცივილიზაციის ყველა ძირითად ასპექტებს: ბიზანტიის ისტორიის პოლიტიკურ, სოციალურ მხარეებს, დიპლომატიურ თავისებურებებს, სამართლის, ეკონომიკის განვითარებას. ასევე მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული ბიზანტიური მწერლობისა და ხელოვნების თავისებურებანი, მათი ჩამოყალიბების და განვითარების გზები. სრულად და დამაჯერებლად არის გაანალიზებული ბიზანტიაში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრება, მისი მნიშვნელობის და როლის თანდათანობითი ზრდა, ამასთან ბიზანტიიდან ამ მოძღვრების გავრცელება სხვა ქვეყნებში. ე.ი. სახელმწიფოს თავისებური „მისიონერული“ ღვაწლი, რომელიც ძალზე დიდად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, ქართული მწერლობის, ფილოსოფიური აზროვნების, ხელოვნების განვითარებისთვის. მაგრამ, აქვე ვ. ასათიანი დამაჯერებლად აჩვენებს ქართული კულტურის ამ დარგების თავისებურ, თვითმყოფად ხასიათს.

ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი, სრული და ამომწურავია ის თავი, რომელშიც ვ. ასათიანი იხილავს ბიზანტიურ ფენომენს. იზიარებს რა სიმ. ყაუხჩიშვილისეულ შეფასებას ბიზანტინიზმისა, ვ. ასათიანი შესაშური სისრულით განიხილავს ამ პრობლემის ყველა ასპექტს და ნებისმიერი მკითხველისთვის მისაწვდომი ფორმით ახდენს ამ ფენომენის დახასიათებას, თანაც (აქაც გავიმეორებძ უახლესი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით. სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას აჩვენოს, რომ მრავალი წლის წინათ ქართველ მეცნიერთა მიერ წამოყენებული დებულებები დღესაც გასაზიარებელი და აქტუალურია.



განსახილველი წიგნის იმ ნაწილში, რომლის სათაურია „ბიზანტიური ფენომენი“, ავტორი საინტერესოდ განიხილავს ბიზანტიური კულტურის ადრინდელ (XVIII- XIX სს.ძ შეფასებას, რომლის მიხედვით ბიზანტიური კულტურა მოკლებული იყო შემოქმედებითი აზრის განვითარებას, იყო გაყინული, ჩამკვდარი და ა.შ. (კ. კრუმბახერი, კ. დიტრიხიძ. ვ. ასათიანი, კვლავ სიმ. ყაუხჩიშვილისა და მისი სკოლის მეცნიერულ მიღწევათა საფუძველზე აანალიზებს ბიზანტიური ლიტერატურის (რომანი, დრამატურგიაძ, ხელოვნების განვითარების ეტაპებს, შესაბამისად მის აშკარა ევოლუციას და მის უდიდეს როლს მსოფლიო კულტურის გენეზისში. აქვე ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მკვლევარები არსებითად იგივე დასკვნებს აკეთებენ (ჰ. ჰუნგერი, ს. ავერინცევიძ, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნევენ ქართული ბიზანტოლოგიის მიღწევათა მითითებას.

ამ თავის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს შემდეგი თავი: „ბიზანტიური ჰუმანიზმი“, რომელშიც დასაბუთებულად ნაჩვენებია ბიზანტიური ჰუმანიზმის როლი ახალი დროის (თანამედროვე!ძ ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაში, მისი როლი, როგორც „ქრისტიანული ჰუმანიზმის“ საფუძვლისა, ნაჩვენებია, რამდენად უსაფუძვლოა ამ დებულებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და როგორ ეწინააღმდეგება ასეთი დამოკიდებულება რეალურ სურათს. აღნიშნულ თავებში განხილულ საკითხთა საფუძველზე კეთდება სრულიად უდავო დასკვნა: „ევროპული ცივილიზაციის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ენობრივი კულტურისა და ჰუმანისტური ცოდნის, სამეფოს ადეპტები, პირველყოვლისა, ბიზანტიელი ჰუმანისტები იყვნენ.“ ცალკე და თანაც ძალზე ტევადი და მეცნიერული ანალიზით გაჯერებული თავი ეძღვნება ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობას. მოკლედ გადმოსცემს რა ამ ურთიერთობათა ფაქტობრივ, ისტორიულ მხარეებს, ვ. ასათიანი შემდეგ აქვეყნებს ბიზანტიელი მწერლების უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქართველოს შესახებ და სათანადო ადგილას ახდენს მათ კომენტირებას. შემდეგ უკვე მოდის პრობლემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილთა განხილვა. ისეთებისა, როგორიცაა არეოპაგიტიკა და ქართულ სამყაროში მისი ინტეგრაცია, ქართველ მოღვაწეთა „კოლონიზაცია“ ბიზანტიაში, ქართული საგანმანათლებლო ცენტრების ჩამოყალიბება ათონზე, სინას მთაზე და ა.შ. ამ ცენტრების და იქ მოღვაწე ქართველ სწავლულთა მემკვიდრეობის შეფასება და კიდევ სხვა არაერთისა.

მე ზევით აღვნიშნე, რომ შეუძლებელია ვ. ასათიანის წიგნში განხილულ საკითხთა არა მარტო ადეკვატური შეფასება, არამედ უბრალო ჩამონათვალიც კი. სწორედ ამიტომ, მე ველარ გავაგრძელებ წიგნის სიღრმისეულ განხილვას და შევეხები კიდევ ორ მომენტს. პირველი ეხება ისევ და ისევ ქართული ბიზანტინოლოგიის მაღალი დონის წარმოჩენას, რასაც ვ. ასათიანი ოსტატურად ახერხებს. კერძოდ, მას სრულად მოაქვს საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის კონკრეტული ფაქტები და ყველა შემთხვევაში ახდენს ციტირებას სხვა და სხვა სპეციალურ ჟურნალებში ამ თავყრილობათა შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციებისა და საგანგებოდ გამოჰყოფს მათში ქართველ მეცნიერთა შეფასებას. ამით ავტორი თვალნათლივ აჩვენებს რა მაღალ დონეზე ხდებოდა ჩვენი მეცნიერების აღიარება; ეს კი, კვლავ უნდა გავიმეორო, დღევანდელ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია და აბათილებს ამჟამინდელ ე.წ. რეფორმატორთა სიყალბეს.

და მეორე საკითხი, რომელიც მინდა გამოვყო, ესაა ვ. ასათიანის მიერ წიგნში შეტანილი ნიმუშები ბიზანტიური პოეზიისა (IV-XIVსსძ დედნებიდან უშუალოდ თარგმნილი ჩვენი ბიზანტინისტების – ძ. ბეზერაშვილის, ნ. ბარამიძის, ნ. ტონიას, ო. ბერიძის, ე. გელენავას, ლ. კვირიკაშვილის – მიერ. ამან ცხადჰყო ჩვენი სპეციალისტების მიერ არა მარტო ზედმიწევნითი ცოდნა კლასიკური ენებისა, არამედ მათი პოეტური ნიჭი, უნარი პოეზიაში ღრმა გარკვევისა. ამ მეცნიერული გამოკვლევისთვის, ერთი შეხედვით, უჩვეულო დანამატის შეტანამ წიგნში უფრო ცოცხლად წარმოაჩინა ქართველ მკვლევართა მრავალმხრივი შესაძლებლობები და ამასთან წიგნში თავისებური სიხალისე და დამატებითი სულიერება შეიტანა.

**როგორც ვთქვი, ვ. ასათიანის გამოკვლევა კიდევ არაერთ საგანგებოდ განსახილველ პრობლემას შეიცავს, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია მისი ძალიან მაღალი შეფასებისთვის. ეს კაპიტალური ნაშრომი უდავოდ ქართული ბიზანტინოლოგიისა და საერთოდ, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მაღალი დონის ნიმუშია და უტყუარი დოკუმენტია იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი მეცნიერება, დაფუძნებული ეროვნულ ნიადაგზე, საერთაშორისო კვლევითი აზროვნების ღირსეული შემადგენელია. მე მხოლოდ ერთ რამეს დავამატებდი: ძალზე სასურველია ამ გამოკვლევის რომელიმე ენაზე მთლიანად თარგმნა.**

**ნოდარ ლომოური**
საქართველოს ბიზანტოლოგთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი

№ 230. პარასკევი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ პოზიცია

# ტელემაყურებლის იმედი

**საზოგადოებრივი ტელევიზია აშკარად, საზოგადოების ნაწილის ტელევიზიაა და არა მხოლოდ გადასახადის გადამხდელის მოქალაქის ტელემაუწყებლობა. დღეს კიდევ ერთხელ დასტურდება მიკერძოებული და არაობიექტური ტელეგარემოს ჩამოყალიბება ერთი მხარისათვის საგანგებოდ გამოდის. ვემსგავსებით ერთ ცნობილ ანეგდოტურ სიტუაციას, როდესაც სტუდენტ რაბინოვიჩს უტარებენ ვითომ „ობიექტურ“ გამოცდას, გამომცდელი ეკითხება ივანოვს, რამდენია მოსახლეობა ჩინეთში. ივანოვი უსახელებს ციფრს. აქვე შემხვედრ „ობიექტურ“ კითხვას უსვამენ რაბინოვიჩს – გთხოვთ გვარების მიხედვით ჩამოთვალოთ ეს რაოდენობაო. ზუსტად ასეთი სამართალია ჩვენს ტელესივრცეში შექმნილი ამჟამად.**

გივი თარგამაძის მონოლოგები და ღვარძლიანი ცინიკური საუბარი, მაია ნადირაძის დამცინავი ტონი. თურმე პოლიციას დემონსტრანტები დასხმიან თავს, ოპოზიციის ორწუთიანი და შეფერხებული პასუხები საზოგადოებრივ ტელევიზიაზე. ამ ყველაფერს ნამდვილად ვერ ვირწმუნებთ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეთერში ეპარებათ გადაცემის რეჟისორის ბრძანება წამყვანისადმი სიტყვა შეაწყვეტინეო. რამხელა შანსი და ნდობა ჰქონდათ დარჩენილ ტელეარხებს ამ ვითარებაში და, სამწუხაროდ, ვერ გამოიყენეს (ჩაატარონ ინტერაქტივი და დარწმუნდებიანძ, მათ აქვთ თუ არა საზოგადოების ნდობა.

იმედი მაქვს „იმედი“ მალე ამუშავდება.

**ვასილ გოსტაშაბიშვილი,**
რიგითი მოქალაქე,
არც ერთი პარტიის წევრი,
ტელემაყურებელი.

◉ რეპლიკა

# მეორე ვადა და მე

***რა ვქნა ახლა, თუ სპორტსმენებთან პრეზიდენტის შეხვედრამ კვლავ ამიშალა უსიამოვნო ფიქრები. არა, განა ჩვენი სახელოვანი ჩემპიონებისათვის სარგოს მომატება ალალი არ არის, უფრო ალალიცაა, ვიდრე ხელისუფლებაზე მათი დიდი ხელფასები. სხვა რამ მაწუხებს – მოსახლეობის ნაირ-ნაირი ფენისათვის პირველი პირი რომ „ოთარაანთ ქვრივის ქისებს“ ზედიზედ უხსნის თავს, რა დააშავა სოსო მაისურაძის დელფინებივით ბიჭებმა, ჩვენმა მარჯვე და გამარჯვებათა მომკელმა წყალბურთელებმა, რომლებიც თურმე უკრაინაში, ამ მეგობრულ ქვეყანაში, უსახსრობის გამო ასპარეზობაზე ვერ მიდიან? რა, იმ წყალს ეგენიც მტრის წისქვილზეასხამენ, ან ვინმეს უმღვრევენ?..***

მეორე ისა, რომ შე დალოცვილო, თუკი ამდენი ქისა გქონდა რეზერვად, მაინცდამაინც საპიარო, ელექტორატმოსათაფლ ხანას უნდა დალოდებოდი სარგოების დასარიგებლად და მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები, ჟურნალისტები, სხვანი და სხვანი, გარკვეულწილად ხელგაშვერილი უნდა გყოლოდათ? ამდენი მოსამატებელი ფული რა, ახლა გამოჩნდა? ამას ცინიზმიც ხომ არ ჰქვია საარჩევნო კამპანიის ადევნებით?

მესამე ისა, რომ ერთ მომენტში პირველმა პირმა ბრძანა – ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადის განმავლობაში ასე და ასე მოვიქცევი, ამას და ამას გავაკეთებო.

ადრეც არაერთხელ უხსენებია ეგ მეორე ვადა, თითქოს სულ ჯიბეში ედო, მაგრამ ახლა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „შემოგვაპარა“.

მაგ მეორედ დალოცვილმა ფორმალური თავმდაბლობა მაინც გამოიჩინოს და მოიარებით თქვას – რასაკვირველია, თუ ამირჩევთო (არადა ნაღდად აირჩევენ, რას ერჩი...ძ...

„დღეს და ყოველდღე“ – მთავარი ცირკები კიდევ წინა გვაქვს, კარგა ხანს გვაქვს. ეგ არის, ბავშვების „წაყვანა“ არ ღირს, ვერაფერს ვერ გაიგებენ...

**თამაზ ეგანოიძე**

# წუთისოფელი

● „ომრი“ მთელი თვენახევარია „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდება. ზოგს რაღაცეები მოწონს. იქნებ წიგნად გასულმა ერთხანს იცოცხლოს კიდეც

№ 230. პარასკევი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.



## ◉ გულწრფელი წიგნი

ჩემი წილი სადღეგრძელო ფანჯიკიძე – თამადამ მონდომებულად, ამაღლებულად წამოიწყო. ალბათ გურამს უნდოდა ჩემი კუთხის თავკაცის თვალში ჩემი მწერლური და საზოგადო საქმიანობა მთელი ქართული მწერლობის მიერ მოწონებულ-მხარდაჭერილად ეჩვენებინა და მასაც, როგორც კავშირის თავმჯდომარეს, ეს დაედასტურებინა.

მთელი საბჭოეთის ყოფილი ცენტრები ჩამოთვალა, თვით საქართველოს კუთხეებიც, თავად მას რომ უნახავს თუ როგორ ხვდებოდნენ და უყვარდათ აჭარის სახელით სიტყვის მთქმელი მოკალმე. თუმცა, როცა ასლანმა აიღო ჭიქა, ჩემს არგასაგონად ჩაიჩურჩულა: სხვაგან უყვართ, კი, მაგრამ თავის კუთხეში? მთავარია კუთხეს უყვარდე.

როგორც კი ამ ფრაზას ყური მოჰკრა, ფანჯიკიძე აენთო. ეს იწყინა, მაგრამ ჩვეული სიმშვიდით შემოიწყრა, ალბათ იხუმრეთო.

იმხანად მე მწერალთა აჭარის განყოფილების მდივნად ყოფნის სამ ათეულზე მეტი წელი მისრულდებოდა, რაც, არათუ ზოგი აქაური ლიტერატორისათვის, ჩემთვისაც უკვე მოსაბეზრებელი შეიქნა.

მეთაურთან დაახლოებულნი, როგორც მითხრეს „დღეში ხუთჯერ მასთან შედიოდნენ“. განსაკუთრებით ბოღმავდნენ მეთაურს სამოციანი წლების მიწურულს მწერალთა პლენუმზე, ალბათ, ჩემი ანტიავტონომიური გამოსვლის გახსენებით.

ფიცი-მტკიცი რა საჭიროა, რომ მინარეთის დაყენება ბათუმის შუაგულში, მიტინგებზე უცოდინარი ხოჯა-მოლების უტაქტო, არაჩვენებური გამოსვლები, საერთოდ, კუთხეში ისლამის ნარჩენების რესტავრაციის მცდელობა და, რაც მეტად უფრო ცოდვად მეჩვენება, – აჭარელი, ასობით ყმაწვილთა თურქეთში მუსლიმურ სასწავლებლებში გაგზავნა, მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა მიზნად: ამ უძველეს ქართულ მხარეში ისეთი სურათი შექმნილიყო, რომ სამომავლოდაც ავტონომიის სტატუსის საწინააღმდეგო აზრის გაჭაჭანებაც კი გამორიცხულიყო.

ჩემი, ასე ვქთვათ, მოკრძალებული პოპულარობაც, მავანთათვის, ჩემს გაჭიანურებულ მდივნობაზე უფრო აუტანელს დაემგვანა. ვგრძნობდი, რომ ჩემ გვერდით სიტყვის და ლექსის ჩემზე უკეთ მთქმელებიც საკმაონი იყვნენ. პარტიის ოლქკომში, რამდენჯერ (იქ იდეოლოგიის განხრით მომუშავე, მშვენიერ ჩვენს პოეტს, მწერალთა აჭარის ორგანიზაციის ახლანდელ ხელმძღვანელს, დავით თედორაძეს ემახსოვრებაძ მითხოვია, თბილისში ან სხვაგან იუბილეებზე თუ რაიმენაირ ზეიმზე, წარმომადგენლად სხვა პიროვნება წასულიყო. არაო, ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობაა, შენ ოფიციალურად გაკისრია, დავალება შეასრულეო, თორემ შეიძლება საკითხი დადგეს... და სხვა.

განსაკუთრებით ზურაბ გორგილაძის მეხათრებოდა. როგორც იტყიან, მოხეთქილი, მზარდი, საკუთარი ხმის და ხელწერის, პოპულარული პოეტი გაგვეზარდა. მესხეთ-ჯავახეთში, ქათაისში, გურია-სამეგრელოში ყველა ჩვენი შეხვედრის ერთი ყველაზე მქუხარე მონაწილე ის იყო. შიგადაშიგ ლექსში ამოიკვნესებდა – „თბილისში ლექსი ვერ ვთქვიო“. ეს ამოკვნესება, უჩუმარა უფრო მე მტკენდა.

გორც წესი, მეთაურმა დაიგვიანა. ამიტომ მოხსენების თითქმის ბოლო ფრაზებს რომ წარმოვთქვამდი, ის, მთელი ამალით, შემობობოქრდა. მაშინვე მოითხოვა, ვიტყვი ცოტასო, მეჩქარებაო. მე ჩემსას უცებ მოვუკონე თავი. ერთი რამ, თავში ნათქვამი, – ეს ჩემი ბოლო მოხსენებაა, მეგობრებო, რაც ამ ხნის მანძილზე კარგი გამომსვლია თქვენია, ალალ მითქვამს, რაც ვერ გამომსვლია, ჩემი იყოს-მეთქი. გავიმეორე.

ასლანის ლაპარაკი თავიდანვე სასტიკი, კრიტიკული, თითქმის ულმობელიც კი იყო. ჩვენ მრავალი ბრძოლა, მრავალი შემოტეიმედით, უკეთესის მოლოდინით ალამაზებდა.

მწერალთა აჭარის გაერთიანებას ახლა უკვე ცნობილი ჩვენი პოეტი შოთა ზოიძე ჩაუყენეს წინამძღოლად. კრების დასასრულს ჩემი შემცვლელი თვალით მოვძებნე, – ვნახავ, მივულოცავ-მეთქი. მაგრამ ის უკვე კიბეზე სწრაფად ეშვებოდა. მომერიდა. დავეწიე, დავუძახე, ამოვაბრუნე. ახალი საქმე დავულოცე და მთელი კონა გასაღებებისა იქვე ხელში ჩავუდე. ეს სახლი ჩვენი ზიარი სახლია, მივდივარ, მაგრამ ისევ აქ ვიარო უნდა-მეთქი. მაგრამ ჩემი შემცვლელი მალე ახალ მაღალ





1987 იყო თუ უფრო ადრე, ზუსტად ვერ ვამბობ. დარეკეს, თბილისიდან, პატარძეულში ხვალ გოგლაობააო. თანაც იქ ლეონიძის სახლ-მუზეუმი უნდა გაეხსნათ. მონაწილეობა მთხოვეს, ვეხვეწე ზურაბ გორგილაძეს, წადი, მთელი მწერლობა იქნება, გამოხვალ, გამოჩნდები-მეთქი. ვნახოთ, სხვა დროსო. გმადლობთო. შემომხვდა, თითქოს შევეზრალე, ჩამეხუტა. ჩვენი ურთიერთპატივდამფასებლური დამოკიდებულების ერთ ნიშნად ისიც ივარგებს, რომ 1998 წელს, ზურაბის დაბადების თარიღისათვის თეატრში მოწყობილი ზეიმური საღამოს გაძღოლა იუბილარმა მე მომანდო. პარლამენტში ვიყავი. ჩამოვედი.

მართლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ საღამოს. გულითადობით, სიყვარულით ამაღლებულები დიდ ბედნიერებას ვიზიარებდით.

ჩემი წასვლა კავშირიდან ასლანს აშკარად უნდოდა. ხშირად კითხულობდა, როდის იწვევს საანგარიშო კრებას, მეც უნდა მივიდეო.

დავწერე გამოსამშვიდობებელი მოხსენება. კრებაზე, როვა მოვიგერიეთ, ავტონომიის წინააღმდეგაც ხელი აღმართა ზოგიერთმაო. ხოლო მწერალთა ორგანიზაცია, მისი ხელმძღვანელი არ ამოგვიდგა მხარშიო. განსაკუთრებით „დინამოს“ სტადიონზე გამართული მიტინგი გაიხსენა, სადაც თვითნასწავლი მოლა-ხოჯების სტიქიურ, გულის დამზინდველ განცხადებებისთვის მხარდაჭერას მოითხოვდა ხელმძღვანელობა და სადაც, მე შეგნებულად, არ გამოვჩნდი.

ბათუმის ძველ მეჩეთთან, სადაც წინათ მინარეთი არ იყო, ახლა წვერით თითქოს ზედ ცაზე მიჭერილი ბეტონის რუხი ხოხოლა აღიმართა და თანაც ეზანის ხმამაღალი კაკანურიც მთელ ქალაქს ხანძარივით მოედო.

მაგრამ მინარეთიდან მოძახილმა ეზანის ყოვლისშემძვრელმა ხმებმა, ეტყობა მალე თვით ასლანიც შეაწუხა და უბრძანა გამოერთოთ.

ესეც ითქვას: ასლანის დროს რეგიონში მწერლობას, მის როლს, ისევ წინანდებურად, ანგარიში ეწეოდა, ფასდებოდა.

ასეთი ყურადღება შემოქმედ, ნიჭიერ მოღვაწეებისადმი მართლაც საერთო განწყობილებას შემოთავაზებებს დათანხმდა. იქნებ მისთვისაც და საქმისთვისაც დარჩენა აჯობებდა.

განსაცვიფრებელი აჭარის ცხოვრებაში ქართული მწერლობის როლი, თვით პოლიტიკურ სისტემათა როლზე უფრო დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია და ეს ამბავი, მე მგონია, ჯერ კიდევ შესაფერ შეფასებას საჭიროებს.

14.11.07

„ომრი“ მთელი თვენახევარია „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდება. ზოგს რაღაცეები მოწონს. იქნებ წიგნად გასულმა ერთხანს იცოცხლოს კიდეც.

ყოველდღე მწუხარებას მწუხარება ემატება. ხომ ნანგრევებში ვართ, „საგანგებო წესებმა“ კი ნანგრევებიც დაანგრია.

მეგონა, არეულობაში გამოჩნდებოდა ვინმე, ისეთი, ახალს რომ იტყოდა, ახლისკენ რომ წაგვიძღვებოდა.

მხსნელი გვჭირია, მხსნელი! ჭკვიანი, გაბედული გმირი! ჩვენი მიწის პატრონი ხალხი ასე ღარიბი უნდა იყოს?

მესამე მსოფლიო ომი ეკონომიკური ომია. ეს ომი სოციალიზმმა წააგო. ჩვენმა ქართულმა უსუსურმა დემოკრატიამ წაგებულ რეალობაში გვამყოფა. წინ ვერ წაგვწია. მრეწველობა მოკლეს, სოფლის მეურნეობა თავისით კვდება.

როცა არავის არაფრის მოსმენა არ უნდა, ისევ ლექსია ყველაზე ერთგული მეგობარი. მთქმელიც, გამგონეც.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-208, 213-228.

## ძახილი

აი, შინისკენ მივაბიჯებ,
ღამით, მთვარეში
და ნიავის ხმად საყვედური
მიწის ჩამესმის:
– აღარ ვუნდივარ მე
სამშობლოდ და
შეშლილები
სხვის სამშობლოებს
ხარბდებიან ჩემი შვილები.
რატომ არ ყვირით,
პოეტებო, რატომ არ
ტირით, –
სხვის ენებში და სხვის
ხელებში მომკლან
დარდივით?!
ეს რა დრო დადგა, –
დაექადნა სიტყვას და
კალამს, –
თავი მოიკალ თუ გინდაო,
– შენი არ გავა!..
მოდით! – ვეძახდი მე
ყოველთვის,
შეუჩერებლივ,
ასი, ორასი, სამასი წლის
წასულ ჩვენებურთ.
მუჰამედის რჯულს ვინც
ეწირენ მუჰაჯირებად,
უდედაენოდ ყოფნას ბედი
უჰაზირებდა.
ძმავ, ქრისტიანო, შენ რაღა
გჭირს, რა გემართება, –
საქართველოზე უარი თქვა
უნდა ქართველმა?!
რა გემართება. ასაწყობით
შენით შეშინდი
და სხვის აწყობილს
მიაფეშინდი?!
ეს მაშინ, დაშლილ-
დაფუფქულსა ტაძარს,
მე როცა
მიველ, შენთან ერთად,
რათა ისევ
ქრისტე მელოცა.
შინ აღარ მხვდები. იქ
ხმას ქართულს ცვლიან
სხვა ხმები,
– ხმებს შეჩვეულებს თუ ვერ
ვისმენ, – ხემ თქვა, –
გავხმები.
ჩემია ესო, – შენი ეზო
მიაქვს... ვინ არი?
თავს თუ ვტიროდი, დღეს
გამიხდი შენც სატირალი.
ერს როს ჭირდება
მოყადრენი და
მოდარდენი,
შენ ხიზანდები, ცოტავდები,
საცოდავდები.
– ნუ მომკლავ, შვილო,
უშენობით! კვნესით
გეძახის
ფესვი კერიის, ლექსი
ვეფხის, ცრემლი ვენახის.

15.11.07


**„სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენელ ლიმიტედი“ აცხადებს, რომ დაიწყო საქართველოში მისი ფილიალის – *„სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენელ ლიმიტედის“ საქართველოს ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი.***

ყველა დაინტერესებულ მხარეს ვთხოვთ, დაგვიკავშირდეს შემდეგ მისამართზე: ლესელიძის ქ. № 44, მე-3 სართული, ქ. თბილისი 0105, საქართველო; ტელ.: +99532 509300, ფაქსი: +99532 509301. ყველა შეკითხვა მიიღება 2007 წლის 31 დეკემბრამდე.

**შპს „ნავსადგურის ფოთის სანიჩბოსნო ბაზის“ დირექცია იტყობინება, რომ 2005 წლის იანვრიდან შეწყვეტილია სანიჩბოსნო ბაზის დაფინანსება. მოხდა სანიჩბოსნო ბაზის (პრივატიზაციისძ ლიკვიდაცია ეკონომიკის განვითარების სამინისტროსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. ბაზის მისამართია: ფოთი, დემეტრე თავდადებულის ქ.1. ტ.2-22-07.**

**დირექცია**

**რეკლამა**

**„საქართველოს რესპუბლიკაში“**

**899 32-85-76; 98-65-87**

**საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ, ქვეყნის მოწყობის შესახებ საზოგადოებას ფიქრის საშუალება 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში მიეცა**



**თემა**

# ხელმწიფე თუ პარლამენტი?

***ორი საუკუნის წინათ, 1801 წლის ენკენისთვის 11-ში, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია მოხდა. ამ დღიდან ეს სამეფო ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად იქცა. ქართველთათვის დამამცირებელი ეს მანიფესტი თბილისში მხოლოდ 7 თვის შემდეგ, 1802 წლის 12 აპრილს გახდა ცნობილი. მართალია, სიონის ტაძარში წაკითხულ მანიფესტს ქართველობამ პროტესტი გამოუცხადა, მაგრამ ამას რუსეთის ხელისუფლებამ საშინელი რეპრესიებით უპასუხა.***

ასე და ამრიგად, რუსეთის ხელმწიფის უხეში ჩარევით, საქართველოში დასრულდა ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მეფობა და მას შემდეგ დღემდე ასე გრძელდება.

ახლა მოკლედ შევეხოთ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას რუსეთთან შეერთებიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. ამ ხნის მანძილზე საქართველომ და ქართველმა ხალხმა ცხოვრების მძიმე, მაგრამ საინტერესო გზა განვლო. ქართველები არამც და არამც არ ეგუებოდნენ რუსულ კანონებს, რომლებიც საზოგადოების უკმაყოფილებებს იწვევდნენ. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შეიმჩნეოდა კაპიტალიზმის განვითარება. მოკლე დროში საქართველოში აშენდა ბევრი ფაბრიკა და ქარხანა. სოფლად აშკარად შეიმჩნეოდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა. საზღვარგარეთის ბაზრებზე გაჰქონდათ ქართული თამბაქო და ასეულობით ფუთი სიმინდი. გაიყვანეს რკინიგზები და ბაქო-ბათუმის ნავთსადენი. მსოფლიო ბაზარზე გაჰქონდათ ჭიათურის მანგანუმი. რუსეთის მრავალათასიან არმიას ფეხსაცმლით ამარაგებდა თბილისელი ადელხანოვის ტყავისა და ქეჩის ფაბრიკა. საქვეყნოდ ცნობილი გახდა მსხვილი ქართველი მრეწველების: ძმები ზუბალაშვილების, დავით სარაჯიშვილისა და აკაკი ხოშტარიას სახელები. ასე რომ, ქვეყანაში კაპიტალისტურმა ფორმაციამ კარგად მოიკიდა ფეხი.

ახლა იმ საინტერესო განცხადების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ახლახან გააკეთა: „კარგი იქნება თუ საქართველო ბაგრატოვანთა დინასტიის აღორძინების გზას დაადგება და კონსტიტუციური მოწყობის მანტიას მოისხამს". მეტად სერიოზული, საყურადღებო და დამაფიქრებელი განცხადებაა. მართალი უნდა ითქვას, ეს არც თუ იოლად გადასაწყვეტი საქმეა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორებიც, რომ იმ 200-წლიან თითქოს „უმეფობის" ხანაში საქართველო და ქართველი ერი ნებსით თუ უნებლიეთ 116 წელი რუსეთის ხელმწიფეს ემორჩილებოდა. შემდეგ 70 წელი კვლავ რუს ხალხთან ერთად ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას ემსახურებოდა. ამ მონაკვეთში, 1918-1921 წლებში ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უდღეური აღმოჩნდა და კვლავ ფაქტობრივად რუსეთის შემადგენლობაში ამოვყავით თავი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამან თავისებური კვალი დაამჩნია ერის ფსიქიკას და ანგარიში უნდა გაეწიოს მას. ვფიქრობ, მონარქის ხელისუფლების აღდგენა ასე სახელდახელოდ ძნელი იქნება. უმჯობესია დაველოდოთ დროს, ამ საქმის ყველაზე დიდი მსაჯული მაინც დრო იქნება.

ამ მეტად საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ჩავიხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ, ქვეყნის მოწყობის შესახებ საზოგადოებას ფიქრის საშუალება 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში მიეცა.

ქვეყნის მოწყობის მეტად საჭოჭმანო საკითხზე, შეთქმულთა შორის, რა თქმა უნდა, იყო აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი. ყოველივე ამას ქვევით კონკრეტულად შევეხები.

1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელები იყვნენ: ოქროპირ ბატონიშვილი, ელიზბარ ერისთავი და იასე ფალავანდიშვილი. შეთქმულთა შორის აქტიური პოზიცია ეკავა სოლომონ დოდაშვილს. შეთქმულნი ხშირად ბჭობდნენ პარლამენტის, რესპუბლიკისა და მონარქიის შესახებ. ერთ-ერთი შეთქმული ტარასი ალექსიშვილი ამბობს: 1832 წლის მარიამობისთვესა თუ ენკენისთვეში ჩემთან ბინაზე ელიზბარ, გიორგი და დიმიტრი ერისთავებმა თქვეს: საკუთარ მეფეს დავსვამთო და საკუთარი პარლამენტი თქვეს, რაღაცა საზოგადო მმართველობა გვექნებაო და ყველანი ამას დავემორჩილებითო". თამარ ბატონიშვილი კი ამბობს: „1831 წელს ელიზბარ ერისთავმა რამდენჯერმე ლაპარაკში გაატარა – კარგი ის არისო, როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო, საქართველოშიც რომ ასე იყოსო".

ქართული სეიმის შემოღება სურდა ზ. ავთანდილაშვილს და ბევრ სხვას. როგორც ისინი ამბობდნენ, საქართველოში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი სეიმი მეფით სათავეში. ეს პოლონეთის მიბაძვით ხდებოდა. სეიმის მმართველობა უმეტესობას იმიტომ მოსწონდა, რომ მეფე ამ წესის მიხედვით არჩევითი იყო, სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა; სეიმს შეეძლო ბატონიშვილთაგან რომელიმე სასურველი კანდიდატის არჩევა, მაგრამ სეიმის შემოღების აზრს შეთქმულთა უმრავლესობა არ ემხრობოდა და იგი არ მიიღეს.

1832 წლის გიორგობისთვეში ელიზბარ და გიორგი ერისთავებმა შეადგინეს შეთქმულების პროექტი, რომლის მიხედვით უნდა დაარსებულიყო ზედა და ქვედა სამმართველოები. ზედა მმართველობაში თავმჯდომარედ იქნებოდა მეფე (მათ სურდათ ალექსანდრე ბატონიშვილი – **დ. ც.**ძ, წევრებად კი მინისტრები – სამხედრო მინისტრი (ალექსანდრე ჭავჭავაძე), იუსტიციის მინისტრი (მუხრან-ბატონიძ, ფინანსთა მინისტრი (ნიკო ფალავანდიშვილიძ, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი (გ. ჭილაშვილიძ და საგარეო საქმეთა მინისტრი (ბებუთაშვილიძ. ამ პროექტით მეფე-მონარქი სამემკვიდრეო უფლებებს ინარჩუნებდა, მაგრამ არა – დიქტატორულს. მისი ზედა პალატაში ყოფნა მისივე ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. ქვედა პალატასაც თავისი უფლებები ჰქონდა.

სხვათა შორის, მაშინ ბევრმა შეთქმულმა აღნიშნა, რომ საქართველოში ძველებური მეფობის აღდგენის იდეა ჩამორჩენილი აზრი იყო და იგი ახალ ისტორიულ პირობებს აღარ შეეფერებოდა. ამ მოსაზრების იდეის ავტორი სოლომონ დოდაშვილი იყო. ის მომხრე იყო იმისა, რომ საქართველოში რესპუბლიკური წყობილება დამყარებულიყო. მისი აზრით, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართველებს თავიანთი თვითმმართველობა უნდა ჰქონოდათ – უმეფოდ. ასეთი მმართველობა სოლომონ დოდაშვილის აზრით, „რესპუბლიკის ნაირსახეობა" უნდა ყოფილიყო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეთქმულთა ერთი წრე რუსეთთან კავშირის გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო და მასთან ურთიერთობაში 1783 წლის ტრაქტატის პრინციპებს იცავდა. დაბოლოს უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ შეთქმულები არსებითად კონსტიტუციური მონარქიის დამყარებაზე ფიქრობდნენ, ზოგიერთი კი რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაზე ოცნებობდა, შეთქმულთა კონსერვატიული ფრთა კი თავის მთავარ მიზნად ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენას ცდილობდა.

ასეთი პოლიტიკური ამბები მოხდა საქართველოში ამ 180 წლის წინათ. როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, დრო გვიჩვენებს. აჩქარება კი არ ეგების.

**დურმიშხან ცინცაძე.**

**არეულ ტალღაზე**

## ძალიან „შორს" წავსულვართ

**უცნაური რამ ხდება.**

**დაუჯერებელი.**

**გაუკუღმართებული სქესობრივი ორიენტაციის ახალგაზრდები სააშკარაოზე გამოდიან. საალუმო მსვლელობების ნებართვას ითხოვენ ღიად.**

**ურცხვად.**

**გასართობ შოუებში მონაწილეობისთვის იბრძვიან.**

**მრუდე გზაზე დგებიან გოგო-ბიჭები. გარემოც ხელს უწყობთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში სქესობრივი აღზრდის სპეციალური საგნის შემოღებას ლამობს.**

**იგულისხმება უფრო ტექნიკის, ვიდრე ჰიგიენის სწავლება.**

ეს ერთ მხარეს.

მეორე მხარეს ტელევიზია და ყვითელი ჟურნალ-გაზეთები დგანან.

ტელეეკრანებზე დღისით-მზისით პორნოგრაფიული სურათები თბილ ქვეყნებში გასაფრენად გამზადებული წეროებივით მისდევენ ერთმანეთს.

წესიერი კაცი არასდიდებით არ იკადრებს მათ ყურებას ოჯახის წევრების თანდასწრებით.

ყველაფერი ისეთ დროს ხდება, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში ამგვარი ფილმების ჩვენება კანონით არის აკრძალული.

ამ ბოლო დროს ცალკეულმა ჟურნალებმაც გამოიდეს თავი. მაღალ პოლიგრაფიულად შესრულებულ ფერად გარეკანებზე ისეთი ფოტოები იბეჭდება, გაგაწითლებს უნებურად.

ორმოც წელს მიღწეულს.

უფრო ასაკოვანს, მით უმეტეს.

სამწუხაროდ, დარდით არავინ კვდება.

არც ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები, რომელთაც სხვებზე მეტად უწევთ ჯანმრთელობასა და ზნეობრიობასთან შეხება.

ვიცი:

სიცილით დაიხოცებიან, ეგლა გვაკლდაო, ამ ტვირთის აკიდება გვინდოდაო ათასი საზრუნავით თავგამოტენილებს, ხალხის ასეთი მასობრივი გამოსვლით გულშეღონებულებს.

უფრო მეტს ვიტყოდი:

პრობლემა იმდენად მასშტაბურია, ჩემი ნება რომ იყოს, საგანგებო სტრუქტურასაც შევქმნიდი ამ საერთო აფორიაქების ჟამსაც კი.

ყველა თავს იმართლებს, რაღა დროს ამეებზე საუბარიაო ოცდამეერთე საუკუნეში, ადამიანის უფლებათა უსაზღვრო გაფართოების დროს.

ამ თავის მართლებაში, ერთმანეთისკენ ყურებაში შორსაც წავსულვართ.

ძალიან შორს.

ახლახან პატარა ცოტნეს დედამ კანფეტი მოუტანა. ეგრეთ წოდებული „ტოიბოქსი," შოკოლადის თხელი ფენით დაფარული კვერცხი, რომლის შიგნით პაწაწინა სათამაშოებია მოთავსებული.

ცოტნე ოთხი წლისაა. დახმარება არ სჭირდება. თავისით გახსნა და პირველ რიგში სათამაშოს მიადგა. რატომღაც ვერაფერი გაუგო და საქმის „გარკვევაში" დახმარება მთხოვა.

გავოგნდი არც ისე ცოტას მნახველი კაცი.

გამჭვირვალე პლასტმასის დახურულ ქილაში სქესობრივი აქტი ილანძღებოდა. თითის დასაჭერი ღილაკიც ჰქონდა და პატარა ნათურაც ინთებოდა.

შორს წავსულვართ-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის. გახმაურებაზე არც მიფიქრია თავიდან. ნანახმა არ მომასვენა მაინც.

არ არის გამორიცხული, მოახლოვებული იყოს გონს მოსვლის, დაფიქრების დრო. შეიძლება ღირდეს ფართო საუბარიც საზოგადოების ერთიანი, მყარი აზრის შესამუშავებლად.

აკანკალებული ხელიც ამიტომ წამიცდა კალმისკენ.

## არ იქნება ყრივთ

**2003 წლის 23 ნოემბერი დროის ათვლის ახალ წერტილად იქცა.**

**საქართველოსთვის მაინც.**

**ცხოვრება თავიდან დაიწყო.**

**ყველაფერი განახლდა, დაიძრა.**

**უწყვეტი ელექტროენერგია – პირველად;**

**ღამით განათებული ქუჩები – პირველად;**

**შეკეთებული გზა – პირველად;**

**პირველად.**

**პირველად.**

**პირველად.**

ქვეყნის ისტორიასაც აქედან იწყებენ ახალ-უხლები.

დავით აღმაშენებელიც, ალბათ, ამიტომ გააძევეს თბილისიდან – ყველას თვალში ეჩხირებოდა, არანაირად არ ჯდებოდა გადაწერილი ისტორიის ჩარჩოებში.

ადვილი შესაძლებელია, საქართველოს ისტორიას ამიტომაც მოაჭრეს კუდი სასკოლო პროგრამებში.

შედეგი?

ერთი მაგალითი უაღრესად საჭირო და სასარგებლო პროექტიდან „ეტალონი":

წამყვანმა გადაცემის მონაწილეებს დაავალა თხუთმეტი წამის განმავლობაში გაეხსენებინათ, თუ რომელი გენერალი არ ყოფილა საქართველოში – პეტრე ბაგრატიონი, გრიგოლ ორბელიანი, კონსტანტინე ლესელიძე თუ ვასილ მჟავანაძე?

კურდღლებივით გაცუნცულდნენ წამები.

სრულ მდუმარებაში გაირბინეს.

კონკურსის ვერც ერთმა მონაწილემ კითხვა ვერ ამოხსნა.

საგანგებოდ შერჩეული, კონკურსგავლილი მოზარდები, არც ისე პატარები, ვერ ასახელებენ, თუ რომელი ქართველი პოეტის კალამს ეკუთვნის „მერანი," ვინ არის „ბახტრიონის" ავტორი.

სტუდენტებმა არ იციან, თუ რომელმა ქართველმა მეფემ დააარსა სტამბა და დაბეჭდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი."

ქვეყნის ისტორიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ჯეროვნად სწავლების უგულებელყოფამ მოიტანა ეს. დააქვეითა მოზარდების ინტერესი მშობლიური ლიტერატურის, ერის ისტორიისადმი, რაც თავისთავად ანელებს მათში ეროვნულ თვითშეგნებას, რასაც საბოლოოდ ყოველივე ეროვნულისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებასთან მივყავართ და კოსმოპოლიტებად აყალიბებს მომავალ თაობებს.

დემოგრაფიული კატაკლიზმის წინაშე მდგომი ერისთვის სკოლაში მიმდინარე ამგვარი რეფორმების ზოგიერთი დეტალი სულერთი არ უნდა იყოს.

არც დროზე გამოფხიზლება იქნება ურიგო.

**რობერტ ძერია.**

№ 230. პარასკევი, 23 ნოემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

**დასავლეთი თუ იტყვის, რომ ყველაფერი ლეგიტიმურად იყო, მაშინ ჩვენ შევძლებთ განვითარების დემოკრატიულ გზაზე საქართველოს დაბრუნებას. სხვა შემთხვევაში საქართველო მიიღებს დიქტატურას**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## „მზადა ვარ, სააკაშვილს ერთი ერთზე ვეთამაშო“

***გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების რწმენა გამოთქვა. ცნობილ ქართველ სპორტსმენებთან შეხვედრაზე „პრეზიდენტობის მეორე ვადის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად“ მან დაასახელა „პირობების შექმნა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გასასვლელად 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში. სამაგიეროდ კი ქართველმა ფეხბურთელებმა თამაშის კლასი უნდა აიმაღლონ, თვით სააკაშვილმა კი მთავარი ოპონენტი უნდა დაამარცხოს.***

***ასეთი, ისე ჩანს, გახდება 43 წლის დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა ცხრა პარტიისა და მოძრაობის წარმომადგენელმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ. დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, გუშინ კანდიდატმა გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტის მიხეილ ვიგნანსკის შეკითხვებს უპასუხა.***

**— 1999 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე თქვენ სათავეში ედექით დეპუტატობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბს. ეს როგორ გამოვიდა, რომ რვა წელიწადში შეურიგებელ კონკურენტებად იქეცით?**

— იმ 1999-ში საქართველოს საუკეთესო ბიზნესმენად მცნეს (ლევან გაჩეჩილაძემ ალკოჰოლის საწარმოო კომპანია დააარსა — **რედ.**ძ. ამის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ (ორი წლის წინათ ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მაშინ პარლამენტის სპიკერი — **რედ.**ძ შემომთავაზა ადგილი იმჟამინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო პარტიული სიის პირველ ათეულში. პარლამენტში იმავე დროს იყრიდა კენჭს ახალგაზრდა პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი. ახლა კი ვხედავ, როგორ ვცდებოდი ამ კაცში, მაგრამ იმჟამად მთელი გულით ვეხმარებოდი გამარჯვებაში. მაშინდელი მოწვევის პარლამენტში რამდენიმე თვის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს, თუმცა მერე შიგნიდან დავინახე, თუ რა ხდებოდა „მოქალაქეთა კავშირში“: კორუფცია, ანტისახელმწიფოებრივი მიდგომები. ჰოდა, გადავედი ედუარდ შევარდნაძის ოპოზიციაში. უკვე მაშინ გახდა ჩემი მოწინააღმდეგე „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის სათავეში მყოფი სააკაშვილი.

**— ხუთ ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ თქვენ პირველმა გამოაცხადეთ საპროტესო შიმშილი, მაგრამ 7 ნოემბრის განთიადზე მოშიმშილეთა ჯგუფი პოლიციამ დაარბია. თქვენ მაშინ თქვით, რომ დარბევისას ორჯერ გცემეს, მაგრამ დადგება ჟამი და თქვენ სცემთ სააკაშვილს. რაშია ამ კაცის ძალა?**

— მატყუარა პიარ-აქციებში, ოღონდ ახლა ეს აღარ გაუვა. 7 ნოემბერს მან სულში ჩააფურთხა ხალხს. ის ამბავი, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტის თანამდებობაში დაიწყო საარჩევნო კამპანია, ხვდება ინტელიგენციას, ბიზნესმენებს, სპორტსმენებს, აგრეთვე მეტყველებს მის უსინდისობასა და ძალისმიერად ხელისუფლების შენარჩუნების სურვილზე. სააკაშვილის ძალაც და სისუსტეც ცრუ დაპირებებშია. ის სახელმწიფო ბიუჯეტსაც იყენებს თავისი კამპანიისთვის.

**— სპორტსმენებთან შეხვედრის დროს სააკაშვილმა გაიხსენა, თუ როგორ თამაშობდა კალათბურთს. თქვენც ხომ ამ სახეობით ხართ გატაცებული, საქართველოს ნაკრებშიც შედიოდით. მოედანზე არ შეხვედრიხართ პრეზიდენტს?**

— რაღაც ვერ ვიხსენებ, თითქოს ის კალათბურთს თამაშობდა, თუმცა მზადა ვარ, ერთი ერთზე ვეთამაშო.

**— ოპოზიციისაგან იმასაც მოისმენთ, რომ საქართველოში რაც ხდება, ამერიკის ბრალიც არის, რადგან მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის კრეატურაა...**

— ის ამერიკელებსაც მხოლოდ თავისი პოლიტიკის ფასადებს უჩვენებდა, ხოლო ჩვენ შევძელით მისთვის დემოკრატიული ლიდერის ნიღბის მოხსნა. საბოლოოდ შეერთებული შტატებიც მოტყუებული დარჩა.

**— თქვენზე თუ გამოვიდნენ ამერიკელები?**

— მე ვხვდებოდი სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეს მეთიუ ბრაიზს, ელჩს ჯონ ტეფტს, სხვა დასავლელ დიპლომატებს. ავუხსენი იმათ, რომ ჩვენი პოლიტიკა მარტო აქციები და მანიფესტაციები როდია. ჩვენ სერიოზული ადამიანები ვართ და უფრო პროფესიულად, დემოკრატიულად და ეფექტიანად შეგვიძლია ქვეყნის მართვა. ახლა ევროპის მონახულებას ვგეგმავ, შემდეგ ეგებ აშშ-შიც შევიარო, მაგრამ ყველაფერი ფორსმაჟორულ გარემოებებში ვითარდება. ასე რომ, მაქსიმუმი ერთი დღით, დღენახევრით წავალ.

**— თქვენ რამდენიმე პარტიის საბჭომ წამოგაყენათ, მაგრამ არიან კანდიდატებიც სხვა ოპოზიციური მოძრაობებიდან. როგორ ჯობია — როცა ბევრი კანდიდატია თუ, როცა ერთია მთელი ოპოზიციიდან?**

— მე მზად ვარ, ყველა ოპოზიციურ კანდიდატთან კონსულტაციებისთვის. ჩვენი ძალა იმაშია, რომ მრავალნი ვართ. ყველას იმაზე ველაპარაკები, თუ როგორ მოვიცილოთ სააკაშვილის რეჟიმი.

**— ნოემბრის აქციების დროს პატარკაციშვილი ოპოზიციას ფინანსურად დახმარებას ჰპირდებოდა. მოასწრო ამის გაკეთება?**

— მისი ეს განცხადება განზრახვათა გამჭვირვალობას ადასტურებდა. არავითარი დაფინანსება არ მომხდარა.

**— ჩვენს გაზეთს უკვე ეუბნებოდით, თითქოს მზად ხართ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად...**

— აღსადგენად.

**— გინდა ასეც იყოს. თქვენთვის ყველაზე მახლობელი სფერო ავილოთ. შარშანდელ კრიზისამდე ქართული ღვინის ექსპორტის 90 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა. ვინაა დამნაშავე ბაზრის დაკარგვაში?**

— ორი ავტომობილი როცა ერთმანეთს ეჯახება, ამაში მეტ-ნაკლებად ორივე მძღოლი ტყუის. იმაში, რაც მოხდა, უფრო რუსეთის მხარეა დამნაშავე. ეს კია, სააკაშვილმაც ცოტა როდი გააკეთა, როცა ანტირუსეთული განცხადებებით ცდილობდა თავისი პოპულარობის ამაღლებას. ჩვენ შეგვიძლია რუსეთის ბაზრის გარეშე გაძლებაც, ოღონდ რუსეთამდე გზა ქართული ღვინისთვის უფრო იაფია, ვიდრე სხვა ქვეყნებამდე.

**— რუსეთთან ურთიერთობათა დარეგულირება დაეხმარება საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებაში?**

— აუცილებლად, ოღონდ ჩვენ რუსეთი უნდა განვიხილოთ, როგორც მხარე და არა როგორც შუამავალი.

**— თქვენ თქვით, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საქართველოს გადაიყვანთ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე, რის შემდეგ პოლიტიკურ პენსიაზე გახვალთ. დიდხანს უნდა ამას ლოდინი?**

— რამდენიმე თვე. საჭიროა საპარლამენტო არჩევნების გამართვა (ოპოზიცია არჩევნებს 2008 წლის აპრილში გეგმავს — **რედ.**ძ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება. ამის შემდეგ სამუშაოს დავკარგავ.

საპრეზიდენტო არჩევნები თუ გამჭვირვალედ ჩაივლის, სამაგიეროდ კი საჭიროა ტელეკომპანია „იმედის“ აღდგენა, დასავლეთი თუ იტყვის, რომ ყველაფერი ლეგიტიმურად იყო, მაშინ ჩვენ შევძლებთ განვითარების დემოკრატიულ გზაზე საქართველოს დაბრუნებას. სხვა შემთხვევაში საქართველო მიიღებს დიქტატურას.

**— გვიამბეთ თქვენს ოჯახზე, გატაცებებზე...**

— სამი ვაჟი მყავს. უფროსი — 21 წლისა, მეორე 19 წლის, დიდ ბრიტანეთის უნივერსიტეტში სწავლობს. უმცროსი 11 წლისაა, მოწაფეა. ცოლი, ნინო მიქელაძე — დიასახლისია. ჯაზი მიყვარს.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

---

# კაჩინსკის შუამავლობა

## საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებებში პოლონეთი ჩაერთო

**საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ საქართველოში სიტუაცია ისევ იძაბება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებები საგრძნობ შედეგებს ვერ იძლევიან. თბილისს ახალი მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციის პერსპექტივა აეტუზა. სიტუაციის გადარჩენას — პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შორის ხიდების გადებას — პოლონეთმა მოჰკიდა ხელი.**

პარასკევს თბილისში ჩამოვა პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი. ვარაუდობენ, რომ პოლონეთის დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი თადეუშ მაზოვეცკი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბრონისლავ გერემეკი. ამ ვიზიტის ანონსირებისას პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განუცხადა ჟურნალისტებს: ვარშავა თავის თავზე იღებს შუამავლურ მისიას საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ამას აკეთებს აშშ-ის მთავრობისა და საერთო პოლიტიკასა და უშიშროების პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას თხოვნით.

თვით საქართველოში ფიქრობენ, რომ პოლონეთი პოლიტიკოსების მოვლინება ეუთოს დამკვირვებელთა ადრინდელ ჩამოსვლასთან ერთად (თბილისში უკვე გამოჩნდა პირველი ჯგუფიძ ორ მიზანს ისახავს: მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის ორგანიზება და ხელისუფალთა შეკავება პროტესტის აქციების განახლების განმცხადებელი ოპოზიციის წინააღმდეგ უკიდურესი იმპულსური ქმედებების შესაძლო განმეორებისაგან.

„ხელისუფლება მიმართავს მოლაპარაკებათა იმიტირებას, არც ერთ არსებით საკითხში კომპრომისი არ არის მიღწეული, ამიტომ ჩვენ ვწყვეტთ დიალოგს პარლამენტის სპიკერთან პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის საკითხებზე, — განუცხადა ორშაბათს ჟურნალისტებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი თორთლაძემ. ოპოზიციონერთა უპირველესი მოთხოვნებია — ტელეკომპანია „იმედის“ მუშაობის განახლება და პოლიტიკური მოტივებით დატუსაღებულთა განთავისუფლება.

თავის მხრივ ხელისუფალნი პროგრესის უქონლობაში ადანაშაულებენ ოპოზიციას, რომლისთვისაც „კომპრომისი არის მარტო მისი საკუთარი მოთხოვნებისა და წინადადებების თავს მოხვევა. ტელეკომპანია „იმედის“ თაობაზე მიმდინარეობს კონსულტაციები. როდისმე თუ ის ეთერში გავა, მაშინ ობიექტურად უნდა იმუშაოს“, — განაცხადა პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ რამდენიმე საკითხზე ოპოზიციასთან შეთანხმება მაინც მიღწეულია.



„ხელისუფლება უმნიშვნელო დათმობებზე წავიდა საარჩევნო კომისიების კომპლექტაციის საკითხებსა და საარჩევნო კოდექსის ზოგიერთ პუნქტზე. თუმცა მეორე მხრივ იმავე დროს შეაჩერა ტელეკომპანია „იმედის“ ლიცენზია, ფოტოგრაფიებისა და ვიდეოგადაღებების მიხედვით აპატიმრებენ მიტინგებში მონაწილე ადამიანებს, იმათზე ზეწოლას ახდენენ. გამოუვალი მძიმე სიტუაცია იქმნება, ამიტომ ოპოზიცია არ გაჩერდება და კვლავ მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ“, — განუცხადა „დამოუკიდებელ გაზეთს“ პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.

ოპოზიციური კოალიციის წარმომადგენელმა კობა დავითაშვილმა აცნობა „დგ“-ს, რომ მთელ შემდგომ კვირას საქართველოში გაიმართება სხვადასხვაგვარი საპროტესტო ღონისძიება, იმიტომ, რომ ხელისუფალნი არანაირ კომპრომისზე არ მიდიან და განაგრძობენ იმის კეთებას, რაც მოესურვებათ. „გამოცხადდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი კონსტიტუციის თანახმად არჩევნებამდე 45 დღით ადრე, ესე იგი 21 ნოემბერს, უნდა გადადგეს. ახლა კი ხელისუფლებამ გაგვაფრთხილა, რომ ის კიდევ მთელი ერთი კვირის მანძილზე უხელმძღვანელებს ქვეყანას. მწვავე წინასაარჩევნო ბრძოლის პირობებში ეს ძალიან სერიოზული ფორმა და დიდი უპირატესობაა ოპონენტებთან“, — უთხრა „დგ“-ს კობა დავითაშვილმა.

სამაგიეროდ, ხელისუფლება ამაში ვერაფერს ხედავს უკანონოს. ცესკოს თავმჯდომარემ ლევან თარხნიშვილმა უთხრა ჟურნალისტებს, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს 45 დღისა მოქმედი პრეზიდენტის გადადგომიდან. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნები 5 იანვარსაა დანიშნული, სააკაშვილმა რწმუნებულებანი 21 ნოემბერს უნდა მოიხსნას. „ოღონდ, ამასთან პრეზიდენტობის კანდიდატები უნდა დასახელდნენ არჩევნებამდე არაუგვიანეს 40 დღისა. ამიტომ მიხეილ სააკაშვილს გადადგომა შეუძლია 21 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე შუალედში“, — განაცხადა თარხნიშვილმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ газета

# სპორტი

რა ადვილია ადამიანის ამჩატება. საკმარისი იყო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს „ყარაულის თოფი“ გავარდნოდა შოტლანდიელებთან, რომ ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მის „პატრონ“ მიხეილ სააკაშვილისთვის სპორტსმენებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე პირობა მიეცა: გიორგობის დღისთვის კიდევ ერთ საჩუქარს ლიტველთა ძლევით მოგიძღვნითო. კი, მაგრამ მეტოქეს არაფერს ეკითხებოდა?



## ორბიტაზე



### ხორვატებმა „შური იძიეს“

**ხორვატი ფეხბურთელების მოგება თავისებური „შურისძიება“ ხომ არ გამოვიდა იმისთვის, რომ ბრიტანეთის პოლიციამ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი მატჩის – ინგლისი-ხორვატეთი – წინ დააპატიმრა ხორვატეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზარისლავ სრებიჩი ვითომდა საკანცელარიო ნივთების (შემდეგ დააზუსტეს – გაზეთებისძ ქურდობისთვის ლონდონის აეროპორტის „გატვიკის“ მახლობელი წიგნის მაღაზიიდან? თუმცა ინციდენტი მალე ამოიწურა, მაგრამ ქვეყანა ხომ შეიყარა?**

როგორც ჩანს, ხორვატეთის ნაკრების ფეხბურთელებმა „გულში ჩაიდეს“ თავიანთი თავკაცის ასეთი შეურაცხყოფა და ფეხბურთის მინდორზე „შური იძიეს“ – დაამარცხეს რა ინგლისის ნაკრები – 3:2, გზა გადაუკეტეს მას ევროპის მომავალი ჩემპიონატისაკენ, რაც ბრიტანული ფეხბურთისა და გულშემატკივრების არმიის დიდი ტრაგედიაა!

### ლამაზმანები არ მოაკლდება

**ამერიკელი მილიარდერის დონალდ ტრამპის ძალზე პოპულარულ პროგრამაში Apprentice ცვლილებები მოხდა.**

ტრამპის კორპორაციაში მოსახვედრად იბრძვის ოლიმპიური ჩემპიონი სოფტბოლში ჯენინ ფინჩი (**ფოტოზე**). ამ პრესტიჟული პროგრამის მონაწილეებმა, ის კი ტელერახის HBC ეთერში ახალი წლის მომდევნო დღეებშივე გავა, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ტრამპსაც და მაყურებლებსაც თავი მოაწონონ.

თავიდან იმედოვნებდნენ, რომ ამ შოუში მონაწილეობას მიიღებდნენ ბრიტნი სპირსი და პერის ჰილტონი, მაგრამ ლამაზმანებს ისეთი დატვირთული ცხოვრება აქვთ, რომ დრო ვერ გამონახეს.

ლენოქს ლუისისა და ჯენინ ფინჩის გარდა ამ დიდ შოუში მონაწილეობას აპირებენ ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი ნადია კომანეჩი და ბრძოლა წესების გარეშეს ვარსკვლავი ტიტო ორტიცა.



## ფეხბურთი

# ჯერ გადახტნენ...

**რა ადვილია ადამიანის ამჩატება. საკმარისი იყო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს „ყარაულის თოფი“ გავარდნოდა შოტლანდიელებთან, რომ ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მის „პატრონ“ მიხეილ სააკაშვილისთვის სპორტსმენებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე პირობა მიეცა: გიორგობის დღისთვის კიდევ ერთ საჩუქარს ლიტველთა ძლევით მოგიძღვნითო. კი, მაგრამ მეტოქეს არაფერს ეკითხებოდა?**

ეტყობა, სახელმწიფოს მეთაურმა მართლაც ირწმუნა სფფ დე-ფაქტო თავკაცის სიტყვებისა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონს მთელი ამალით ეწვია, სადაც ადგილი თვით მისი ოჯახის წევრებისთვისაც მოიძებნა პირველი ლედისა და შვილების ჩათვლით. რომ სცოდნოდა, როგორი იმედგაცრუება ელოდა.

სტაჟიან გულშემატკივარს, ალბათ, ბალტიისპირელებთან მატჩი ახლო წარსულს გაახსენებდა, როცა იმ თაობათა წარმომადგენლები მოწინააღმდეგის კართან შექმნილ უამრავ სახიფათო მომენტს ფლანგავდნენ. თანამედროვეთაგან განსხვავებით, მათ ოსტატობა ჰყოფნიდათ, დაკარგული შემდგომ თამაშებში აენაზღაურებინათ და ქართული ფეხბურთისთვის ღირსება შეენარჩუნებინათ. სამწუხაროა, რომ ამას აწმყოზე ვერ ვამბობთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, თუმცა



პერსპექტივა რომ არსებობს, „ჯვაროსანთა“ ძირითად შემადგენლობაში 17 წლის ჭაბუკების ყენიას, მჭედლიძისა და მაკარაძის უმტკივნეულოდ დამკვიდრება ადასტურებს. ახლა მთავარია, როგორ გაგრძელდება მათი „დაღვინების“ პროცესი.

**„ევრო-2008“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის დასკვნითი ტურის სრული შედეგები:**

**I ჯგუფი.** სომხეთი – ყაზახეთი 0:1, სერბეთი – პოლონეთი 2:2, აზერბაიჯანი – ბელგია 0:1, პორტუგალია – ფინეთი 0:0.

პოლონეთი – 28, პორტუგალია – 27, ფინეთი – 24, სერბეთი – 21, ბელგია – 18, ყაზახეთი – 10, სომხეთი – 9, აზერბაიჯანი – 5 ქულა. ხვალ გაიმართება გამოტოვებული მატჩი სერბეთი – ყაზახეთი.

**II ჯგუფი.** საქართველო – ლიტვა 0:2, უკრაინა – საფრანგეთი 2:2, იტალია – ფარერები 3:1.

იტალია – 29, საფრანგეთი – 26, შოტლანდია – 24, უკრაინა – 17, ლიტვა – 16, საქართველო – 10, ფარერები – 0 ქულა.

**III ჯგუფი.** უნგრეთი – საბერძნეთი 1:2, თურქეთი – ბოსნია 1:0, მალტა – ნორვეგია 1:4.

საბერძნეთი – 31, თურქეთი – 24, ნორვეგია – 23, ბოსნია – 13, მოლდოვა, უნგრეთი – 12-12, მალტა – 5 ქულა.

**IV ჯგუფი.** კვიპროსი – ჩეხეთი 0:2, გერმანია – უელსი 0:0, სან-მარინო – სლოვაკეთი 0:5.

ჩეხეთი – 29, გერმანია – 27, ირლანდია – 17, სლოვაკეთი – 16, უელსი – 15, კვიპროსი – 14, სან-მარინო – 0 ქულა.

**V ჯგუფი.** ინგლისი – ხორვატეთი 2:3, ისრაელი – მაკედონია 1:0, ანდორა – რუსეთი 0:1.

ხორვატეთი – 29, რუსეთი – 24, ინგლისი, ისრაელი – 23-23, მაკედონია – 14, ესტონეთი – 7, ანდორა – 0 ქულა.

**VI ჯგუფი.** ესპანეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 1:0, დანია – ისლანდია 3:0, შვედეთი – ლატვია 2:1.

ესპანეთი – 28, შვედეთი – 26, ჩრდილოეთ ირლანდია, დანია – 20-20, ლატვია – 12, ისლანდია – 8, ლიხტენშტეინი – 7 ქულა.

**VII ჯგუფი.** რუმინეთი – ალბანეთი 6:1, სლოვენია – ბულგარეთი 0:2, ბელორუსია – ჰოლანდია 2:1.

რუმინეთი – 29, ჰოლანდია – 26, ბულგარეთი – 25, ბელორუსია – 13, ალბანეთი, სლოვენია – 11-11, ლუქსემბურგი – 3 ქულა.







## ძალოსნობა

# ბოლო ტურნირსაც ქუთაისი უმასპინძლებს

**დამთავრდა ძალოსანთა საქართველოს ლიგისა და თასის გათამაშება, რომლის დასკვნით ტურნირს ქუთაისმა უმასპინძლა.**

მოგეხსენებათ, ლიგის ტურნირი ჩვენთან მთელი წლის განმავლობაში გრძელდება და სპორტსმენებს ქულები სინკლერის სპეციალური ცხრილით ერიცხებათ. ამდენად, გამარჯვებული და პრიზიორი (საუკეთესო ექვსეულიძ შესაძლოა, ნებისმიერი წონის ათლეტი გახდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლიგის პირველობა აჭარის წარმომადგენელმა გია მაჭავარიანმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზუგდიდელები – თემურ ჩხეიძე და თორნიკე კოკაია, აჭარელი ირაკლი თურმანიძე, ქუთაისელები – ალუდა მანაგაძე და პაატა გეგეშიძე.

საუკეთესო ექვსეულში ვერ მოხვდნენ პერსპექტიული სპორტსმენები – თბილისელი დავით ყაველაშვილი და ქუთაისელი რაულ ცირეკიძე იმ მიზეზით, რომ მათ ყველა ეტაპზე არ უასპარეზიათ.



მწვრთნელთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ავთანდილ გახოკიძე (ზუგდიდიძ, მალხაზ ლომთაძე (ქუთაისიძ, აბესალომ ბასილაია (აჭარაძ, გია ცირეკიძე (ქუთაისიძ, ბეჟან ჭიჭინაძე (ზუგდიდიძ და გურამ ფარულავა (თბილისიძ.

თასის გათამაშებაში ყველას თორნიკე კოკაიამ აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა ყაველაშვილი, რომელიც ბავშვობიდან საბერძნეთში ცხოვრობდა და ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა სამშობლოში. შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ახალგაზრდებიც – 15 წლის ქუთაისელი გიორგი ლომთაძე, 17 წლის ზუგდიდელი დავით გოგია, მისი თანატოლები – ირაკლი ცანავა და ნიკა წიკლაური.

ქართველ ძალოსნებს სეზონის ბოლო ასპარეზობა ისევ ქუთაისში ელით – 15-16 დეკემბერს აქ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართება.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



კოლეგის ხსოვნას

# გივი თედეევი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი გივი თედეევი. მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ქართულ პრესასთან, ქართული წიგნის გამოცემასთან. იგი გულმართლად მოუთხრობდა ქართულ-ოსური ურთიერთობის ფესვებსა და ნიუანსებზე, ორი ხალხის მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, დაატარებდა იმ დიდ ტკივილს, მისი მშობლიური ცხინვალის ახლანდელი მდგომარეობის გამო რომ იყო გამოწვეული.

დაიბადა 1931 წელს. იზრდებოდა ქუთაისში, საიდანაც მამამ ცხინვალში ჩამოიყვანა და ამ ქალაქის პირველ ქართულ სკოლაში განაგრძო სწავლა. აქვე განიცადა პირველი პუბლიკაციის ავტორობით გამოწვეული სიხარული, შემდეგ იყო სტუდენტობა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც გაიცნო და მალე ოჯახიც შექმნა ამჟამად ცნობილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან მერი ცხოვრებოვასთან.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საოლქო რადიოს ქართულ გადაცემათა უფროს რედაქტორად, საოლქო გაზეთის განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ იგი, როგორც ნიჭიერი ჟურნალისტი, რესპუბლიკის უპირველესი პარტიული გაზეთის „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად განაგრძობს მოღვაწეობას სამხრეთ ოსეთის ზონაში. მისი სტატიები გამოირჩევა ობიექტურობით, სწორი ანალიზით, მაშინდელი პრობლემების ღრმა ცოდნით. გამოიცა გივი თედეევის ნარკვევების რამდენიმე კრებული, მისი წიგნი „გალაკტიონი ოსეთში“ გამსჭვალულია იმ დიდი სითბოთი და სიყვარულით, რასაც რეგიონის ქართული და ოსური მოსახლეობა იჩენდა ქართული მწერლობის, ქართული კულტურის მიმართ.

გივი თედეევი ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგიდან თბილისშია, ინაწილებს იმ სიმძიმეს, ჩვენს ცხინვალელ თანამემამულეებს რომ არგუნა ბედმა, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ქართველი და ოსი ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრებში. პერიოდულად ცხინვალში ჩასული არწმუნებს იქაურ მეგობრებს, თუ რაოდენ ძვირფასია ის რეგიონი, ორი ხალხის თანაცხოვრების პერიოდში რომ შეიქმნა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

მეგობრები

## შპს „გზაპროექტი“ აცხადებს აუქციონს

მის საწესდებო კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში 26 მაისის სახელობის მოედანი 2-ში მდებარე, შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის მიზნით

**ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების შესახებ:**

| ლოტის № | იჯარით გასაცემი ფართი | საიჯარო ფართი (კვ.მ) | ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი ლარი | „ბიჯი“ ლარი |
|---|---|---|---|---|
| I | სასაწყობო ფართი №1 | 15 | 225 | 30 |
| II | სასაწყობო ფართი №2 | 15 | 225 | 30 |
| III | სასაწყობო ფართი №3 | 14,4 | 216 | 30 |

ობიექტების იჯარით გაცემის ვადად განისაზღვრა – ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წელი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება აღნიშნული ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 11 საათიდან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი 2.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 27 დეკემბერს, 2 საათზე, ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი 2.

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებები.

ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საიჯაროდ გამოტანილ ქონებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი 2, ან დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 36-40-15.

შპს „გზაპროექტი“

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

გახსენება

# ეთერ რუხაძე-გეგეშიძე

შარშან, 30 ნოემბერს, ეთერ რუხაძე სააქაოს განერიდა. ოჯახი, მეგობრები, კოლეგები და ყველა, ვინც ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი იცის, დღესაც ტკბილად იგონებენ მას. გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა წიგნი – „რაიღა დარჩა წარსულის დიდის?“, ხოლო „იოტამ“ – „უსაზღვრო სევდა“. მათში ვრცლად არის გაშუქებული მრავალი თაობის კეთილგონიერი აღმზრდელის, საქართველოს დამსახურებული ექიმ-სტომატოლოგის მიერ სამედიცინო ინსტიტუტში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გაწეული ღვაწლი და ამაგი.



კრებული იწყება ქალბატონ ეთერისადმი მიძღვნილი რეკვიემით და მთავრდება რუხაძეების, გეგეშიძეების, მოქიების განუმეორებელი ფოტოსურათებით.

აქვე, ძვირფას მკითხველს ვთავაზობ ამ წიგნიდან გადმობეჭდილ, დიდი მგოსნის ბრძნული გამონათქვამით დასათაურებულ რამდენიმე სიტყვას:

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე, განა?“

უკვდავი არავინ არის, მეც ბუნების შვილი ვარ და... მეც მომაკითხა მიმწუხრის ჟამმა... ამ უკუღმართი ცხოვრების კვალობაზე სამდურავი არ მეთქმის – ტრადიციული ოჯახიც შევქმენი, კარგი შვილებიც გავზარდე, შვილიშვილები და შვილთაშვილებიც გულს მიხარებენ. არც წინაპართა ხსოვნისთვის მიღალატნია. ძმაკაცებიც მიყვარდა, ნათესავ-მოკეთეებიც, ჭიქის აწევაც... გასაცემსაც უყოყმანოდ გავცემდი და, თუ ვინმე სიკეთეს დამიფასებდა, ბავშვივით მიხაროდა. არც საზოგადოებას დავწოლილვარ მძიმე ტვირთად – ვშრომობდი და ჩემი წილი ხნული მუდამ ნამუსიანად გამქონდა.

მაგრამ სოფელმა ხანგრძლივად მართლაც არ გამახარა. და თავზე უეცრად ჩამომამხო ცარგვალი... ვისითაც ვვაჟკაცობდი და გული მქონდა სავსე, ის გამომეცალა ხელიდან... რომ მივიხედ-მოვიხედე, სრულიად მარტო აღმოვჩნდი ამ ტრიალ ქვეყანაზე. დავყრუვდი და დავბრმავდი, ყველა ფერი ერთბაშად დაკარგა დალოცვილმა სამყარომ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: თავისი ტვირთი ყველამ თვითონ უნდა ზიდოს. კაცი დიდი გამოცდისთვის მოდის ამ ქვეყანაზე და არავის, არავის შეუძლია მისი შემსუბუქება...

უმადური არასოდეს ვყოფილვარ, არც ახლა დამიკარგავს რეალობის შეგრძნება. ყველაფრისთვის მადლობას ვწირავ განგებას. მადლობას ვწირავ, რომ ქვეყნად მომავლინა, შევხვდი ადამიანს, ვინც ჩემს არსებობას ავკარგიანობის გვირგვინი დაადგა. ეს შენ ხარ, ჩემი ფიქრების მოწმევ და გამზიარებელო, ჩემთვის ულამაზესო და უჭკვიანესო ქალბატონო, ეთერ! ეს შენი წასვლის გამო ჩამომემხო ზეცა, თითქოს აზრი დაკარგა ცხოვრებამ. მაგრამ არა! ყველაფერი თავისი რიგით მიდის – დღეს ღამე ენაცვლება, ამოდის და ჩადის მზე, გალობენ ჩიტები, გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ძველების ადგილს ახლები იკავებენ... კაცობრიობა ისევ ჯიუტად მიისწრაფვის ბეწვის ხიდზე, რათა სიცოცხლის ძაფი არ გაწყდეს...

ახალმა ძალამ აავსო ჩემი არსება – ეს შენ მკარნახობ, ჩემო ეთერ, რომ ისევ თავაწეულმა ვიარო, მივიდე შენს სამარადისო სამყოფელთან, მუხლი მოვიდრიკო და გითხრა: ჩემი ყოფის სილამაზე შენთან შეხვედრის მოლოდინშია... და როცა ჟამი დაჰკრავს, ისევ ერთად ვიქნებით.

მანამდე კი შენი თვალებით ვუცქერი ამ სამყაროს, მივეფერები შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. ყველას, ვინც შენ გიყვარდა.

* * *

23 ნოემბერს უშენოდ, პირველად აღვნიშნავთ შენი დაბადების დღეს, ჩვენო უძვირფასესო ეთერ!

ბიძინა გეგეშიძე

◉ ინფორმაცია

## გაზის მრიცხველებს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გამოცვლის

**პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომა მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციების უარყოფით დაიწყო. ასეთი შინაარსის განცხადებები დეპუტატებმა ელდარ კვერნაძემ და ელენე თევდორაძემ გააკეთეს.**

როგორც ელდარ კვერნაძემ აღნიშნა, მოსახლეობაში არსებობს მცდარი მოსაზრებები, თითქოს ისინი უნდა აიძულონ, საკუთარი სახსრებით გამოცვალონ ბუნებრივი გაზის მრიცხველები.



დეპუტატის ინფორმაციით, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა გუშინ მოიწვია სემეკის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი და გაარკვია, რომ მსგავსი არაფერი იგეგმება.

– პირიქით, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ თავად შეცვლის მრიცხველებს იქ, სადაც საჭირო იქნება, – აღნიშნა ელდარ კვერნაძემ და დასძინა, რომ კომპანიას უკვე 30 ათასი მრიცხველი აქვს შეძენილი.

ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ კი საბავშვო ბაღების პედაგოგებში გავრცელებული ინფორმაცია უარყო.

პარლამენტარის განცხადებით, მას უკავშირდებიან საბავშვო ბაღების პედაგოგები და ეუბნებიან, რომ მათთან უნდა დაიდოს მხოლოდ 2-თვიანი შრომითი ხელშეკრულებები. „მე გადავამოწმე ეს ინფორმაცია და უნდა განვაცხადო, რომ საბავშვო ბაღების პედაგოგებთან არა 2-თვიანი, არამედ ერთწლიანი ხელშეკრულებები დაიდება“, – აღნიშნა ელენე თევდორაძემ.

ინტერპრესნიუსი

# ბოლო გვერდი

... გამთენიისას ყველამ იხილა მხედარი, რომელიც შურდულივით დაეშვა მთის წვერიდან, ეს იმდენად შთამბეჭდავი სახილველი იყო, რომ თავზარდაცემული მტერი გაიქცა, გამხნევებულმა ქართველებმა დაამარცხეს მტრის განახევრებული ლაშქარი



## სულიერება

# წმიდა დიდმოწამე გიორგი



**23 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს, რომელიც, გადმოცემით, წმინდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად.**

... წმიდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. ჩვენთან გიორგობა წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა, რომელიც წმინდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული.

დღეს მინდა, შავნაბადას წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის შესახებ მოგითხროთ...

გადმოცემის თანახმად, ერთხელ უსჯულო მტრის შემოსევისას ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი, დაბანაკებული იმ მთის ძირში, რომლის წვერზეც წმიდა გიორგის ეკლესია იყო აგებული, გულმხურვალედ ევედრებოდა წმიდა მოწამეს შეწევნას მოსალოდნელ ბრძოლაში.

... გამთენიისას ყველამ იხილა მხედარი, რომელიც შურდულივით დაეშვა მთის წვერიდან, ეს იმდენად შთამბეჭდავი სახილველი იყო, რომ თავზარდაცემული მტერი გაიქცა, გამხნევებულმა ქართველებმა დაამარცხეს მტრის განახევრებული ლაშქარი. გამარჯვების შემდეგ სიმამაცით გამორჩეული მეომარი, რომელიც მთის წვერიდან დაეშვა, მხედართმთავარმა შავი ნაბდით დაასაჩუქრა. როდესაც ყველანი სამადლობელი პარაკლისის გადასახდელად ტაძარში შევიდნენ, შავნაბდიანი მხედარი სულ მთლად გაბრწყინდა და ყველამ შეიცნო წმიდა გიორგი.

მას შემდეგ ამ მთას შავნაბადას მთას უწოდებენ, ხოლო მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას, შავნაბადას წმიდა გიორგის ეკლესიას.

ამ დღეებში ერთ-ერთ წირვაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბრძანა: „ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა არსებობს. ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია. წმიდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ“. დღეს ჩვენც გვესმის ეს ხმა უფლისა: „საქართველოვ, ნუ გეშინინ, მე შენთანა ვარ“!

**გიული ლიპარტია**

## გულის ბუხარი

# სულის ტკივილი

*ყველას თავის წუხილი აქვს,*
*ყველას თავის ტვირთი მიაქვს,*
*ვაგლახ! ბევრი ცოცხლობს, მაგრამ*
*ზოგს ცოცხალი არც კი ჰქვია.*

*არ მე ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ,*
*რა ვიქნები ან რა მელის,*
*და დღეს სული, სული მტკივა,*
*რადგან მიწა სულს ვერ შველის.*

*არც იმედი არ მაქვს ხვალის.*
*დარჩენის და სულის ხსნისა,*
*სიცოცხლეა მხოლოდ წყალი,*
*თუკი აღარ დარჩა ქვიშად.*

*რა მტკივა და რა მაწუხებს*
*აღარ იცის სულმა განა?*
*ვერაფერი ვერ შევმატე*
*ჩემს ხალხსა და ჩემს ქვეყანას.*

*ეს წუხილი ტანჯვად მექცა*
*და ცოცხალი სანამ კი ვარ*
*შევღაღადებ ღმერთს და ზეცას*
*სული, სული, სული მტკივა.*

*როცა სული, სული მტკივა,*
*როცა სული ბორგავს, კივის*
*ვატყობ მხოლოდ ლექსი შველის*
*ჩემს წუხილს და სულის ტკივილს.*

*და ვაღმერთებ ქართულ სიტყვას*
*მე სხვა პატრონს არც კი ვნატრობ,*
*ისიც ვიცი, ამ ტკივილით,*
*ამ წუხილით არ ვარ მარტო.*

*ისიც ვიცი, ცოტა იგებს*
*ტკივილსა და წუხილს სხვისას,*
*თუმცა მიწის შვილები ვართ,*
*იმედით ვართ მაინც ცისა.*

*მე მსაჯული არ ვარ სხვისი,*
*მაინც ვიტყვი სანამ კი ვარ,*
*მეცოდება ყველა, ვისაც*
*სული, სული, სული სტკივა.*

**ნოდარ ჯალაღონია**

2007 წელი, ნოემბერი.

## ინფორმაცია

### შეღავათი ავადმყოფ პედაგოგებს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბრძანებაში მინისტრისა, რომელიც საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს შეეხებოდა, ცვლილებებს შეიტანს.**

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ავრცელებს.

ბრძანების მიხედვით, მასწავლებელი თავისუფლდებოდა სამსახურიდან შრომისუუნარობისას მაქსიმუმ 30 კალენდრული დღის, ან 6 თვის განმავლობაში 50 კალენდარული დღით ავადმყოფობის შემთხვევაში.

### კახეთში ჟურნალისტები გაიფიცნენ

**ტელერადიო კომპანია „იმედის“ მაუწყებლობის დაუყოვნებლივ აღდგენის მოთხოვნით, გუშინ კახეთის რეგიონში ჟურნალისტები გაიფიცნენ.**

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრიდან“ აცნობეს. მათი ინფორმაციით, ოთხი დამოუკიდებელი რეგიონული გაზეთიდან არც ერთი არ მუშაობს.

თავისუფალ სიტყვაზე განხორციელებული ძალადობისადმი პროტესტის ნიშნად, ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები 22 ნოემბრის დილით სამსახურებში არ გამოცხადდნენ.

გაფიცულები სოლიდარობისკენ მოუწოდებენ საქართველოს სხვა რეგიონებსა და დედაქალაქში მომუშავე ჟურნალისტებსაც.

აქციის მონაწილეები საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვენ, დაუყოვნებლივ გატარდეს ქმედითი ზომები დაპატიმრებული ტელერადიო კომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღსადგენად.

მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ჟურნალისტები მომავალ კვირას თბილისში ჩამოსვლასა და საქართველოს პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ.

### ქართული დროშით მცურავი თბომავალი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

**ქართული დროშით მცურავი თბომავალი „კაპიტანი ხარლამოვი“ კორეის რესპუბლიკამ პატიმრობიდან გაათავისუფლა.**

რუსეთის მეზღვაურთა პროფესიული კავშირების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თბომავალი, რომელზედაც რუსული ეკიპაჟი იმყოფებოდა, სამი თვის განმავლობაში კორეაში, პორტ პოხანგში იყო დაკავებული.

მეზღვაურთა პროფკავშირის შორეული აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელის ნიკალაი სუხანოვის განცხადებით, ქართული დროშით მცურავმა თბომავალმა უკვე დატოვა პოხანგის პორტი და უახლოეს მომავალში გეზს ვიეტნამისკენ აიღებს, სადაც მას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**


**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.


გაზეთის დღევანდელი ნომერი ოცდაოთხგვერდიანია

## კადრი



## ანეკდოტები

— მამი, სად არის ალპები? — ეკითხება პატარა მიხო მამას.

— ეს დედაშენს ჰკითხე, იგი უცვლის ხოლმე ნივთებს ადგილს.

* * *

— მამი, მართალია, რომ ჩვენში ყველაზე დიდ თანამდებობებზე ყველაზე ჭკვიანები ინიშნებიან?

— არც მთლად მასეა. ისინი თანამდებობის დაკავების შემდეგ ჩანან ყველაზე ჭკვიანები.



* * *

— დედი, მართალია, რომ მამაჩემი ახალგაზრდობისას ძალიან მორცხვი ყოფილა?

— ჰო, შვილო, ასე რომ არ ყოფილიყო, შენ ახლა უკვე ხუთი წლით უფროსი იქნებოდი...

* * *

— ჩემი შვილი სულ იმას მეკითხება, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები, — ეუბნება ტიპი ძმაკაცს.

— მერე ეს ნორმალურია.

— ჰო, მაგრამ იგი უკვე სამი წელია, რაც დაქორწინებულია.

* * *

— რამდენი წლისა ხარ? — უკვე მერამდენედ ეკითხება ქმარი ცოლს.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ როდესაც სხვა რამეს ვაკეთებ, ამას ნუ მეკითხები, თორემ სიმართლე წამომცდება.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.